პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 98 (18940) პარასკევი, 27 აპრილი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს მორიგი სხდომები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა „ელექტრომშენებლის“ ქარხნის დირექტორის ამხ. რ. ნ. სულაძისა და პარტბიუროს მდივნის ამხ. ბ. ი. ტაბატაძის ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ეკონომიკური ექსპერიმენტი დაგეგმვასა და სამეურნეო საქმიანობაში საწარმოო გაერთიანებების უფლებათა გაფართოებისა და მუშაობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით. საწარმოს ადმინისტრაციას, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გადაუდებელი ღონისძიებანი, შრომითი კოლექტივების წევრთა შემოქმედებითი აქტიურობა მოახმარონ ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფას, შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და მოიწონა კომუნისტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სოციალისტური შრომის გმირის, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელის ამხ. ვ. ი. ჭელიძის მუშაობის გამოცდილება ახალგაზრდა მუშებისათვის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის, მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების ჩანერგვის საქმეში.

ხაზი გაუსვა რა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში დამრიგებლობის მოძრაობის დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სახალხო-სამეურნეო და იდეურ-აღმზრდელობით მნიშვნელობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებს ყოველმხრივ გააღრმაონ მუშაობა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული მეთოდის პირობებში ახალგაზრდა მუშების აღზრდის ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმების განვითარებისათვის. სხდომაზე აღინიშნა, რომ უნდა მივაღწიოთ ახალგაზრდობის პროფესიული სწავლების ამოცანებისა და მისი კომუნისტური მრწამსის განმტკიცების საკითხების შეხამებას, ამასთან ფართოდ გამოვიყენოთ ამ მიზნით სოციალისტური შეჯიბრების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ლექციური პროპაგანდისა და თვალსაჩინო აგიტაციის შესაძლებლობანი.

ამხ. ვ. ი. ჭელიძის ანგარიში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით ახალგაზრდა მუშა-მშენებელთა აღზრდის მიზნით მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ პრესაში გამოქვეყნდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ განუწყვეტლივ იზრდება რესპუბლიკისათვის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე საქართველოს სამხედრო გზით ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა ჯვრის უღელტეხილზე მთელი წლის მანძილზე მოძრაობის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება შემნახველი საქმის მდგომარეობისა და საქართველოს სს რესპუბლიკის შემნახველი სალაროების მუშაობის გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გააანალიზა რუსთავის სამრეწველო კვანძის, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“, საგარეჯოს რაიონის უდაბნოს მასივის მიწების რწყვის ტექნიკური წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობისათვის მიმდინარე მუშაობა და მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება, რომელშიც განსაზღვრულია დაგეგმილ სიმძლავრეთა ამოქმედების ამოცანები, კერძოდ, დასახულია დაბა უდაბნოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მსხვილი მეღორეობის კომპლექსის, აგრეთვე იმ საავტომობილო გზის მშენებლობის ღონისძიებანი, რომელიც დაბას რაიონულ ცენტრს საგარეჯოს დაუკავშირებს.

განიხილა რა საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებისათვის ახმეტის მეფრინველეობის რეპროდუქტორისა და ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექციებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის ახმეტისა და ცხინვალის რაიკომებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მათი სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ არასაკმარისად მიიჩნია აღნიშნული ობიექტების ხელმძღვანელობისათვის „საქფრინველმრეწვის“ რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების მუშაობა და გაერთიანების მმართველს ამხ. ე. ი. გვარჯალაძეს მოსთხოვა გარდაქმნას მუშაობის სტილი და მიაღწიოს ჩამორჩენილ მეფრინველეობის ფაბრიკებში მდგომარეობის გაუმჯობესებას. სახალხო კონტროლის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ კონტროლი დარგის საწარმოებისადმი იმ მიზნით, რომ არ დაუშვან დატაცება, ბოროტმოქმედება, სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ორგანოების ფორმირებისათვის მუშაობის შედეგები და დასახა მათი საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. პოლიტიკური ორგანოების საქმიანობის შეფასების მთავარ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის საბოლოო შედეგები. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილებას, რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს დაევალათ ნიადაგ ამაღლებდნენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ქმედითობას, ამასთან მჭიდროდ უკავშირებდნენ მას შინაგან საქმეთა ორგანოებსა და ქვეგანაყოფებში ოპერატიული სამსახურის საქმიანობის სრულყოფის, დისციპლინის განმტკიცების, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების ამოცანებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტორგანოებს წინადადება მიეცათ შეიარაღდნენ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საქმეში რესპუბლიკაში მიღებული გამოცდილებით და მისი შედეგების გათვალისწინებით შეიმუშაონ პირად შემადგენლობათა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების, მილიციის თანამშრომელთა ავტორიტეტის განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი.

მიღებულია გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საზღვარგარეთ ნაოსნობის მეზღვაურთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის შედეგებისადმი, პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებისადმი მიძღვნილი საქართველოს პარტიული აქტივის კრების მონაწილენი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით გულმხურვალედ მიესალმებიან საბჭოეთის კომუნისტთა საბრძოლო შტაბს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს.

ჩვენ ერთსულოვნად და განუყოფლად, მთლიანად და სავსებით ვუჭერთ მხარს ჩვენი პარტიის ბრძნულ ლენინურ კურსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკულ საქმიანობას მისი განხორციელებისათვის, და მოგახსენებთ, რომ რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებამ ჩაიარა დიდი პოლიტიკური და შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში, მოხსენებასა და გამოსვლებში ღრმად იქნა გაანალიზებული მიღწეული წარმატებანი, პრინციპულად და უკომპრომისოდ არის გამოაშკარავებული არსებული ნაკლოვანებანი, დასახულია ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელების ეფექტიანი გზები.

ჩვენ ყველანი, რესპუბლიკის თითოეული კომუნისტი, ყოველი მშრომელი გულმხურვალედ ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებს, აღვიქვამთ მათ როგორც მოქმედების ბრძნულ სახელმძღვანელოს, მთელი მიმდინარე მუშაობის შემდგომი სრულყოფის ზუსტ პროგრამას.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს არჩევას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე. საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, რომლებსაც ეს უზენაესი სახელმწიფოებრივი სიბრძნის აქტად, პარტიისა და ხალხის კონცენტრირებული ნება-სურვილის გამოხატულებად მიაჩნიათ, გულითადად და წრფელად ულოცავენ ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს, უსურვებენ მას მხნეობასა და ჯანმრთელობას, უთვალსაჩინოეს წარმატებებს მუშაობაში, დიდ ბედნიერებას.

საქართველოს რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების პროპაგანდა და ახსნა-განმარტება. კრებებსა და მიტინგებზე, წერილებსა და დეპეშებში, საუბრებსა თუ გამონათქვამებში მშრომელები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მაქსიმალური წვლილი შეიტანონ მიმდინარე წლისა და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, ღირსეულად შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის უმაღლეს ფორუმს — სკკპ XXVII ყრილობას. მშრომელთა სიტყვის ერთგულების მჭევრმეტყველ საბუთს, ახალი შრომითი გამარჯვებების გზით წინსვლის მისწრაფების დამაჯერებელ დასტურს წარმოადგენს ფართოდ გაშლილი მოძრაობა, რომლის მიზანია შევასრულოთ პარტიის საბრძოლო განაწესი — მივაღწიოთ ზეგეგმით შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, უზრუნველვყოთ მოწყობილობის მაქსიმალური დატვირთვა, ყველა სახეობის მატერიალური რესურსების ეკონომია. შრომის საუცხოო ორგანიზაციისა და დისციპლინის მაგალითებით გამოირჩეოდა კომუნისტური შაბათობა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 114 წლისთავს მიეძღვნა. ამ დღეს რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა მიაღწიეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების უდიდეს სადღეღამისო მოცულობას.

ჩვენმა კრებამ დასახა საბჭოების, მათი აღმასრულებელი ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების კონკრეტული გზები, შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ უფრო მკაფიოდ გაიმიჯნოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციები. ამ გადაწყვეტილებათა მიღებისას ჩვენ განუხრელად ვხელმძღვანელობდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და აპრილის პლენუმების მითითებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, რომელიც რეგულარულად განიხილავს ყველა დონის საბჭოების საქმიანობის საკითხებს, გასული წლის სექტემბერში გამართული სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა პირველი რესპუბლიკური კრების რეკომენდაციებით.

ჩვენ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებად, უდიდესი პოლიტიკური ჟღერადობის მითითებად აღვიქვამთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დებულება, რომ საბჭოებში არჩეული კომუნისტები სამაგალითონი უნდა იყვნენ ზუსტი, გეგმაზომიერი, მიზანმიმართული დეპუტატური საქმიანობით, წარმოადგენდნენ მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ყურადღების ნიმუშს, გახდნენ ბირთვი, რომელიც ერთიან მონოლითად აკავშირებს დეპუტატებს, ასტიმულირებს და წარმართავს მათ ინიციატივას, შემოქმედებას, ძიებას.

დასახული ამოცანების განუხრელი, თანამიმდევრული რეალიზაცია კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს დემოკრატიული საწყისების სრულყოფაზე რესპუბლიკის საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების მართვაში, ხელს შეუწყობს ადამიანთა აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებას, შესაძლებლობას მოგვცემს სრულვყოთ მასებთან მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

ჩვენ მოზარდი თაობის აღზრდისათვის მამაშვილური მზრუნველობის გამოვლინებად აღვიქვამთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის შესახებ, რომელიც მაღალ ჰუმანისტურ მიზნებს ისახავს.

რესპუბლიკის საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს ყურადღების მეოხებით ჩვენში კარგი პირობები შეიქმნა ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებისათვის, სწავლების ახალ ფორმებზე სწრაფი გადასვლისათვის. აქტივის კრებამ დასახა საქართველოში რეფორმის გატარების, სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის, პედაგოგებთან მუშაობის გაუმჯობესების, მათი საჭიროებების, სულიერი და ყოფითი მოთხოვნების უფრო სრული დაკმაყოფილების კონკრეტული გზები, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დოკუმენტებით არის გათვალისწინებული.

საკუთარი ძალების რწმენა, სოციალური ოპტიმიზმი, მტკიცე გადაწყვეტილება ყველაფერი ვიღონოთ პარტიის ისტორიული ჩანაფიქრის შესასრულებლად — ასეთია მერმისისაკენ ჩვენი იმედიანი წინსვლის პრინციპები. ამ პრინციპებს საფუძველი ჩაუყარა საბჭოეთის კომუნისტურმა პარტიამ, ამ რწმენით აღავსებს ყოველ კომუნისტს, თითოეულ მოქალაქეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება.

საბჭოთა საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება გულითად მადლობას უძღვნის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს ხალხის კეთილდღეობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვის გამო. ეს არის მადლობა საბჭოთა საქართველოს ლაღი დღევანდელობისა და შესანიშნავი მომავლისათვის, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიმართ ყოველდღიური ყურადღებისათვის, იმ დახმარებისათვის, რომელსაც გვიწევთ სიტყვით და საქმით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულ საქართველოს კომუნისტებს სრულად აქვთ შეგნებული თავიანთი დიდი პასუხისმგებლობა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სრულყოფის ისტორიული ამოცანების რეალიზაციისათვის, და საქვეყნოდ აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს, რომ არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას მათი თანამიმდევრული და განუხრელი განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

საქართველოს პარტიული აქტივის კრების მონაწილენი.

1984 წლის 26 აპრილი.

გავითვალისწინოთ მასების აზრი

საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გათვალისწინების საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

26 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის პლენარული სხდომა, რომელშიც მონაწილეობენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო სოციოლოგი მეცნიერები.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, ძ. ქ. მარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. მ. იაშინი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ა. პ. საყვარელიძე, ნ. შ. ენდელაძე.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენება — „საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გათვალისწინების პრაქტიკა — პარტიის მოთხოვნების დონეზე“ — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

მოისმინეს ინფორმაციები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ღ. ზურაბაშვილისა — „მორალი და საზოგადოებრივი აზრი“, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ნ. გ. გურგენიძისა — „საზოგადოებრივი აზრი რესპუბლიკის დედაქალაქის სანიმუშო ქალაქად გადაქცევისათვის ბრძოლაში“; პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის გამგის ს. ი. შარიასი — „საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გათვალისწინება, როგორც მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორი“; სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის სოციალური ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრის ხელმძღვანელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. კ. ულედოვისა — „საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საერთო-საკავშირო სისტემის შექმნის საკითხისათვის“; საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის გ. ი. გვეტაძისა — „საზოგადოებრივი აზრი რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში“; პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივნის ს. პ. ამირიძისა — „საზოგადოებრივი აზრი და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი შრომით კოლექტივში“; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის სოციალური პროგნოზირების სექტორის გამგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. ვ. ბესტუჟევ-ლადასი — „საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების წესის პროგნოზირება: პერსპექტიული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“; საქინფორმის დირექტორის თ. გ. სტეპანოვისა — „ოპერატიული ინფორმაციის როლი კომპეტენტური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში“; ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის კ. ნ. შავიშვილისა — „საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, როგორც რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთი პირობა“, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ჯ. ვ. მარგველაძისა — „ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აზრი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის პრაქტიკული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ორიენტირია“; საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ზ. ა. კვაჭაძისა — „პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი აზრის გამოყენება რესპუბლიკის შრომით კოლექტივებში დისციპლინის განმტკიცებისათვის საბრძოლველად“; ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. ს. კონისა — „საზოგადოებრივი აზრი და მოზარდი თაობის აღზრდის საკითხები“; პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ნ. ა. გუგუნავასი — „საზოგადოებრივი აზრის როლი იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის კრიტერიუმების განსაზღვრაში“; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის საზოგადოებრივი ცნობიერების ზოგად პრობლემათა სექტორის გამგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბ. ა. გრუშინისა — „საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მეთოდოლოგიის ზოგიერთი პრობლემა“; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. თ. სხიტოვისა — „საზოგადოებრივი აზრის გამოყენება პარტიულ ხელმძღვანელობაში“; პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ი. ნ. ტეხოვასი — „საზოგადოებრივი აზრი მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლაში“; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. ი. იადოვისა — „საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის ზოგიერთი საკითხი“.

განიხილეს რა პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობაში საზოგადოებრივი აზრის გამოყენების ფორმები და მეთოდები, თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და 1984 წლის აპრილის პლენუმების მოთხოვნების, იმ დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში. მათ გააანალიზეს რესპუბლიკაში შექმნილი გამოცდილება, სადაც ათი წელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მოქმედებს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრი, რომელიც ერთ-ერთი პირველია ჩვენს ქვეყანაში.

თათბირ-სემინარზე აღინიშნა, რომ საჭიროა დაიხვეწოს ამ მიმართულებით მომუშავე კვლევითი ორგანიზაციების სტრუქტურა, უზრუნველყონ მათი ღონისძიებების კოორდინაცია, შეიმუშაონ მეცნიერულ-პრაქტიკული რეკომენდაციები სოციოლოგიური სამსახურის საკავშირო მასშტაბით გაფართოება-გააქტიურებისათვის.

27 აპრილს რესპუბლიკური თათბირ-სემინარი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

კ. უ. ჩერნენკოსა და მ. კოივისტოს შეხვედრა

26 აპრილს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოსა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მ. კოივისტოს შეხვედრა, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი და სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. მ. სობოლევი.

ფინეთის მხრივ — ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ა. კარჰილო, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი ი. კალელა და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მოადგილე კ. ტერნუდი.

საუბრის დროს, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, კ. უ. ჩერნენკომ და მ. კოივისტომ განიხილეს სსრ კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, აგრეთვე ერთმანეთს აზრი გაუზიარეს ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო ურთიერთობის ზოგიერთ აქტუალურ პრობლემაზე.

ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობა კვლავ მყარად და დინამიკურად ვითარდება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველზე და არ განიცდის საერთაშორისო კონიუნქტურის ცვლილებანი.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის გრძელვადიანი პერსპექტივები საიმედოდაა უზრუნველყოფილი იმით, რომ 1983 წელს კვლავ გაუხანგრძლივდა მოქმედების ვადა 1948 წლის ხელშეკრულებას მომდევნო ათასწლეულის დამდეგამდე. გახანგრძლივება ხელშეკრულებისა, რომელმაც დაადასტურა, რომ ყველა მისი პრინციპი და დებულება სავსებით ინარჩუნებენ ძალას, გახდა არამარტო დიდი ნაბიჯი სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, ნდობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების გზაზე, არამედ არსებითი წვლილიც შეიტანა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრების საქმეში.

სურათზე: საუბრის დროს.

საქდს-საქინფორმის ტელეფოტო.

აღინიშნა, რომ მსოფლიოში დაძაბულობის ზრდის პირობებში საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის კეთილნაყოფიერი განვითარების გამოცდილება, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ადასტურებს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ცხოველმყოფელობას, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის დებულებათა თანამიმდევრული განხორციელების დიდ მნიშვნელობას.

კ. უ. ჩერნენკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა კვლავაც განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება ფინეთთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საკითხებს. არის იმის ფართო ასპარეზი, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობა ვითარდებოდეს მტკიცე მეგობ-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

„წითელი შაბათობის“ დღის შთაგონებული შრომის შედეგები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ვ. ი. ლენინის დაბადების 114 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის შედეგები. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1984 წლის 21 აპრილს რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მოაწყეს ვ. ი. ლენინის დაბადების 114 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. ბევრ კოლექტივში შაბათობის დაწყების წინ გაიმართა მუშათა კრებები და მიტინგები, რომლებზედაც კომუნისტებმა, კომკავშირელებმა, მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებს, ვალდებულება იკისრეს ამ დღეს მიეღწიათ უდიდესი შრომის ნაყოფიერებისათვის, დაზოგილი ნედლეულით, მასალებით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით გამოეშვათ უმაღლესი ხარისხის რეკორდული რაოდენობის პროდუქცია.

შაბათობაში მონაწილეობდა დაახლოებით 2.770.000 კაცი, რომელთაგან 2.100.000 კაცი შრომობდა თავის სამუშაო ადგილზე. გამოშვებულია 32 მილიონ 300 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია (უწყვეტი ციკლის საწარმოთა ჩაუთვლელად), შესრულდა დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო, რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები. დარიცხული ხელფასი და ამ დღეს მიღებული მოგება, რომლის საერთო თანხამ 5 მილიონ 500 ათასი მანეთი შეადგინა, გადაირიცხა 2400-ადგილიანი რესპუბლიკური სანატორიუმ - პროფილაქტორიუმის, ჯანმრთელობის დაცვის სხვა ობიექტების მშენებლობისათვის.

შაბათობის ორგანიზებულად მოწყობასა და შრომითი წარმატებების მიღწევას ხელი შეუწყო პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ.

შაბათობის დღეს ოთხი თვის დავალების გეგმა შეასრულეს 57.544 მშრომელმა, 1115 საამქროსა და უბნის, 3217 ბრიგადის, 117 სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის კოლექტივებმა.

შაბათობისათვის მზადება და მისი მიმდინარეობა ფართოდ და მრავალმხრივ გაშუქდა რესპუბლიკური და ადგილობრივ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით. უფრო მრავალფეროვანი გახდა მასალების შერჩევა და მიწოდება, უფრო საინტერესო და ტევადი — მათი შინაარსი, უფრო სრულიად აისახა შაბათობისათვის მზადების ძირითადი მომენტები და ეტაპები, შრომითი თაოსნობები და ინიციატივები, მათი ეკონომიკური ეფექტი.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ყველა საწარმოში როდი ჩაიარა კომუნისტურმა შაბათობამ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, მისი მონაწილეები ყველგან არ იყვნენ უზრუნველყოფილი მუშაობის საჭირო ფრონტით, დიდნაყოფიერი შრომის პირობებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაავალა გააანალიზონ კომუნისტური შაბათობის შედეგები, განამტკიცონ შაბათობის დღეს გამოვლენილი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ვალდებულებების რეალიზაციას, რომლებიც ითვალისწინებს გეგმის გადაჭარბებით 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და დამატებით, 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას; ფართოდ გააჩაღონ პატრიოტული თაოსნობა, მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის შესრულება დაამთავრონ სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის იუბილესათვის; გააძლიერონ მუშაობა წარმოების ყველა რგოლში ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის დაზოგვისათვის, იმ ანგარიშით, რომ მომავალი შაბათობების დროს პროდუქცია უპირატესად დაზოგილი ნედლეულით გამოუშვან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა შაბათობის დღეს გამოვლენილი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის დამკვიდრების კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი მომავალ შაბათობათა ისევე მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 114 წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში, და მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ისინი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ 1984 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებების ვადამდე შესრულებისათვის, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების რეალიზაციისათვის. (საქინფორმი).

სსრ კავშირში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვოიცეხ იარუზელსკის მომავალი ვიზიტის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვოიცეხ იარუზელსკი საბჭოთა კავშირში სამუშაო ვიზიტად ჩამოვა 1984 წლის მაისის დამდეგს.

კ. უ. ჩერნენკოსა და მ. კოივისტოს შეხვედრა

(დასასრული)

რობის, ურთიერთნდობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გზით საბჭოთა და ფინელი ხალხების ურთიერთსარგებლობისათვის.

მ. კოივისტომ თავის მხრივ განაცხადა, რომ ფინეთი კვლავაც მიზანმიმართულად და უცვლელად განახორციელებს ნაცად საგარეო-პოლიტიკურ კურსს — „პაასიკივი-კეკონენის ხაზს", რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია 1948 წლის ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებასა და ყოველმხრივ განვითარებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პოლიტიკა ეყრდნობა ფინელი ხალხის უფართოესი ფენების მხარდაჭერას.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აქტიურად შეუწყონ ხელი ომის საფრთხის თავიდან აცილებას, გამალებული შეიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების ალაგმვას.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა სახელმწიფოს, როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოების მეცადინეობის გაერთიანება ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებისათვის, იმისათვის, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობა კვლავ ჩადგეს დაძაბულობის შენელების კალაპოტში, შეიქმნას საერთაშორისო ნდობისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის ატმოსფერო, გადაიჭრას სადავო პრობლემები პატიოსანი და თანასწორუფლებიანი მოლაპარაკების გზით. ამ საქმეში სასარგებლო როლი უნდა შეასრულოს ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენციამ.

აღინიშნა, რომ ახლანდელ პირობებში იზრდება ფინეთის იმ წინადადებათა აქტუალობა, რომ ჩრდილოეთ ევროპა გამოცხადდეს უბირთვო ზონად და ამ რაიონში უზრუნველყოფილ იქნეს მტკიცე მშვიდობა. საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს ამ წინადადებათა რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას.

კ. უ. ჩერნენკომ და მ. კოივისტომ მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ხელმძღვანელთა პირადი კონტაქტების ტრადიციის განგრძობას, რომლებიც ხელს უწყობენ ორივე ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებას, მათ ურთიერთმოქმედებას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საკითხებში. (საქტასი).

საუბარი კრემლში

25 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ტ. ი. რამადანი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით არის საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ერაყის ურთიერთობის, ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების საკითხებზე, აგრეთვე სხვა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირ-ერაყის ურთიერთობის მდგომარეობის გამო და განაცხადა, რომ ისწრაფვიან მის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. პ. რიაბოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ვ. ოგარკოვი; ერაყის მხრივ — მრეწველობისა და მინერალური რესურსების მინისტრი ს. იასინი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ს. სახაფი, ერაყის ელჩი საბჭოთა კავშირში ს. ალ-ფეისალი. (საქტასი).

სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის

ამ დღეებში რესპუბლიკაში იმყოფებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ბიბინი. იგი მონაწილეობდა მშენებლობის დაგეგმვისა და დაპროექტების საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირში, რომელიც თბილისში გაიმართა.

ამხანაგი ლ. ა. ბიბინი გაეცნო კაპიტალური მშენებლობის ობიექტების დაგეგმვის, დაპროექტების დარგში საქმის ვითარებას, ეწვია თბილისის „ქალაქმშენისა" და „საქმშენმექანიზმების" სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო ინსტიტუტებს, საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალ მთელ რიგ საწარმოებს, დაინტერესდა ამ საწარმოების პროდუქციით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გამოიყოს დამატებითი კაპიტალური დაბანდებანი ბაზალტის ნარჩენების საფუძველზე უნაზესი ბოჭკოს წარმოებისათვის, აგრეთვე ბოლნისის ტუფის წარმოების გადიდებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მისი შესაძლო ექსპორტისათვის.

ბათუმში ამხ. ლ. ა. ბიბინი გაეცნო ნავთობგადამამუშავებელი და გემთშემკეთებელი ქარხნების რეკონსტრუქციის მიმდინარეობას, ქუთაისში — საავტომობილო, მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების, მოტობლოკების ქარხნების ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობას. რუსთავში ყოფნისას ამხ. ლ. ა. ბიბინი ეწვია მეტალურგიულ ქარხანას, საწარმოო გაერთიანებებს „აზოტსა" და „ქიმბოჭკოს", ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონებს.

ამხ. ლ. ა. ბიბინი შეხვდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სახმშენის, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მუშაკებს, გაეცნო სამუშაოთა მიმდინარეობას განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობებზე, საბინაო მშენებლობას, ქალაქ თბილისის ყველა სახეობის ტრანსპორტის განვითარების გენერალური სქემის რეალიზაციის, გადარეცხვისაგან შავი ზღვის ნაპირების დაცვის პრობლემებს. შეეხნენ ქალაქ გაგრის შემოსავლელი გზის მეორე რიგის, თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ხაზების, სხვა ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფის საკითხს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დადებითად შეაფასა მუშაობა, რომელსაც რესპუბლიკაში ეწევიან სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაგეგმვისა და დაპროექტების სრულყოფისათვის, ხაზგასმით აღინიშნა, რომ კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის მართვის სისტემა, გამოინახოს საქმიანობის ახალი სტრუქტურები და ფორმები, როგორც ეს აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა ამხ. ლ. ა. ბიბინს. განიხილეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების აქტუალური ამოცანები.

რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს ამხანაგ ლ. ა. ბიბინთან ერთად იყვნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ქეღიშვილი, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე გ. ზ. მირიანაშვილი, მთელი რიგი სამინისტროების ხელმძღვანელები. (საქინფორმი).

ჩვენ და გარემო

მომავალი საუკუნის ტყეები

ათ წელზე ცოტა მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის გარეუბნებში გაიშალა თავისი მასშტაბით მანამდე არნახული ტყის გაშენების სამუშაოები, მაგრამ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. მართალია, სულ ცოტა ნახევარი საუკუნე მაინც უნდა გავიდეს, სანამ რესპუბლიკის დედაქალაქის გარშემო ახალი ტყეები ამრიალდებოდეს, მაგრამ ნაზი მწვანე ფოთლებით შემოსილი ახალგაზრდა ნარგავები უკვე ამშვენებს მას.

ნორჩმა ტყეებმა დაფარა ქალაქის გარშემო მდებარე მთები თუ მინდვრები და სულ უფრო მჭიდროდ ერტყმის გარს ქალაქს, ხოლო ალაგ-ალაგ მის საპარკო ზონებს უერთდება. მწვანე მშენებლობის პროგრამა თანამიმდევრულად ხორციელდება. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თითქმის ოთხი ათას ჰექტარ ფართობზე გააშენეს მწვანე ნარგავები. იქ, სადაც წინათ უშენი ადგილები იყო, სადაც მზით გადახრუკულ ველებზე ქარი დაქროდა, ახლა ფიჭვის, სოჭის, კედრის, მუხის, იფნის 15 მილიონი ნარგავი შრიალებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხეხილის ნარგავებს. დიდ ფართობზე დაირგო, კერძოდ, კაკალი, შინდი, ტყემალი, ასკილი.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრმა შ. ა. ჭელაძემ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ახლა ყოველ თბილისელზე მოდის 11,3 კვადრატული მეტრი მწვანე ნარგავები. ჩვენი მიზანია ეს ციფრი 25-მდე გავზარდოთ. ეს მით უმეტეს მნიშვნელოვანია, რადგან ჰექტარი ტყე, როგორც გამოიანგარიშეს, წელიწადში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. ხოლო ისეთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრისათვის, როგორიც თბილისია, გამწვანება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰაერის აუზის გაწმენდაში. აი რატომ არის, რომ მეტყევეებისთვის ყოველი გაზაფხული — ინტენსიური რგვის დრო — პასუხსაგები გამოცდაა. კამპანიის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დამთავრება, მუშაობის მოწინავე მეთოდების ფართოდ გამოყენება ნიშნავს საიმედო საფუძველი შევუქმნათ XXI საუკუნის ტყეებს.

თბილისის გარშემო მწვანე მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ტ. ქ. შარტავა.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მაღალი შეფასება მისცეს მეტყევეთა თავდადებულ შრომას, გამოთქვეს სურვილი დაჩქარდეს სამუშაოთა ტემპი. (საქინფორმი).

სოციალური პროგრესის კანონით

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის სრულყოფასთან, ახალგაზრდა თაობის განათლებისა და კომუნისტური აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტაზე პარტიული გავლენის გაძლიერების ღონისძიებები დასახა საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც 25 აპრილს გაიმართა თბილისში. მისმა მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის შედეგები და პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ წარმოთქმული სიტყვიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

მოხსენებამ, რომელიც კრებაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, განსაზღვრა კამათის ხასიათი და მიმართულება. განავითარეს და დააკონკრეტეს რა მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, ორატორებმა დაინტერესებით, დიდი პასუხისმგებლობის პოზიციებიდან დასახეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომი გაძლიერების გზები, შეიტანეს საქმიანი წინადადებანი, რომლებიც დაკავშირებულია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებასთან.

გავაძლიეროთ საბჭოების როლი

დღეს არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი, ვიდრე ის, რომ კვლავაც გავშალოთ მასების ინიციატივა და შემოქმედება, აქტიურად ჩავაბათ ისინი რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების საკვანძო პრობლემების გადაწყვეტაში, აღინიშნა კრებაზე. და ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებითი როლი ეკისრება სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში აერთიანებენ საკანონმდებლო, მმართველობითსა და საკონტროლო ფუნქციებს. მარჯვედ იყენებენ რა მინიჭებულ შესაძლებლობებსა და უფლებამოსილებას, საბჭოები დღენიადაგ სრულყოფენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ეძებენ და პოულობენ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და გავრცელების ახალ ფორმებს, რათა უფრო წარმატებით გადაწყვიტონ დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებსაც დღეს პარტია უსახავს სახალხო ხელისუფლების ორგანოებს.

ამ ამოცანების წრე მეტად ვრცელი და მრავალფეროვანია. მათი ეფექტიანი რეალიზაციის უპირველესი პირობაა პარტიული გავლენის გაძლიერება, საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის განუხრელი სრულყოფა.

კრებაზე ამის ბევრი მაგალითი მოიყვანეს. კერძოდ, სწორედ ადგილობრივი საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებამ უზრუნველყო ის წარმატება, რომელიც მოჰყვა რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილ სამეურნეო მშენებლობაში საბჭოების როლის ამაღლების ექსპერიმენტს, რამაც გააფართოვა მათი კოორდინაციისა და კონტროლის ფუნქციები, უზრუნველყო ეკონომიკის მართვის დარგობრივი და ტერიტორიული ასპექტების უფრო რაციონალური შეხამება.

თბილისსა და მის რაიონებში, მაგალითად, შეიქმნა და ფუნქციონირებს ბევრი დარგობრივი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული გაერთიანება, რომლებმაც, არსებობის მცირე ვადის მიუხედავად, უკვე მიაღწიეს საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგებს. და, რაც მთავარია, პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები გულდასმით ადევნებენ თვალს მათ მუშაობას, აანალიზებენ მას, დღენიადაგ სრულყოფენ საბჭოების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სისტემას. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი პრაქტიკული დახმარების, მათზე პარტიული ზრუნვის დადასტურება იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა ამასწინანდელი შეხვედრები თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამსახურებისა და ქვეგანაყოფების მუშაკებთან, რომელთა შედეგად გადაწყდა საქალაქო მეურნეობის, რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრების ბევრი საჭირბოროტო პრობლემა. პარტიის საქალაქო კომიტეტის უახლოესი გეგმები ითვალისწინებს საბჭოების მუშაობის შემდგომი სრულყოფის კომპლექსური პროგრამის დამუშავებას, რათა კიდევ უფრო გაფართოვდეს მათი ფუნქციები, უფლება-მოვალეობანი, განვითარდეს საზოგადოებრივი თვითმმართველობის, მათ შორის მიკრორაიონების საბჭოების ახალი, პრაქტიკულად გამომდგარი ფორმები და მეთოდები.

კრებაზე განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციათა ზუსტ გამიჯვნასთან დაკავშირებული საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფრიად საჭიროა უზრუნველვყოთ ამ ფუნქციათა სწორი განაწილება, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ ხერხდება. საბოლოო ანგარიშით კი, ზოგჯერ, საქმე გვაქვს სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის დაქვეითებასთან, მათს მოსწრაფებასთან დააკისრონ იგი პარტიულ ორგანოებს. ამ ამოცანის გადაწყვეტის გზად პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტს, მაგალითად, მიაჩნია პარტიული კომიტეტის აპარატის, მისი ბიუროს მუშაობის სტილის სრულყოფა. აქ კარგად ესმით, რომ საქალაქო კომიტეტის დღის წესრიგიდან ცალკეული სამეურნეო საკითხების მოხსნა მოითხოვს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მაღალი კომპეტენტურობის უზრუნველყოფას მათს მომზადებაში აღმასკომის სესიებზე, მუდმივი კომისიების სხდომებზე განსახილველად, მათი როლის გაძლიერებას მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისა და კონტროლის ორგანიზაციაში.

პარტიული ორგანიზაციების მიზანდასახული ზრუნვა სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების გაფართოებისათვის, მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ნათლად ვლინდება რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში, მის ავტონომიურ ფორმირებებში. როგორც გამოსვლებში აღინიშნა, ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურმა კრებამ, რომელმაც გასული წლის სექტემბერში განიხილა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მათი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები. ამ კრების გადაწყვეტილებებმა გავლენა მოახდინა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებაზე, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო, სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციაში საბჭოების როლის შესამჩნევ ზრდაზე. საბჭოები სულ უფრო აქტიურად იყენებენ თავიანთ უფლებებსა და შესაძლებლობებს, უზრუნველყოფენ მშრომელთა შეგნებულ, დაინტერესებულ მონაწილეობას სახალხო მეურნეობის მართვაში.

კრებაზე მოიყვანეს ასეთი მაგალითი: 390 მუდმივი კომისია, 227 დეპუტატთა ჯგუფი და საგუშაგო აერთიანებს 6.500-ზე მეტ დეპუტატსა და აქტივისტს აჭარის ასს რესპუბლიკაში. აქ პრაქტიკულად დამკვიდრდა ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების, განყოფილებებისა და სამმართველოების, დეპუტატთა ანგარიშები ამომრჩეველთა, მშრომელთა წინაშე; მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პარტიულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად საბჭოები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო გეგმების შესრულების მიმდინარეობას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფას, მართვაში ტერიტორიული და დარგობრივი საწყისების შეხამებას.

წარმატებანი აშკარაა, მაგრამ, გააანალიზეს რა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათი უდიდესი პოტენციალი ჯერ კიდევ სრულად ვერ ნაღდდება, რომ მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია.

კერძოდ, ეს მთლიანად ეხება რუსთავის საქალაქო საბჭოს, მის აღმასკომს, განყოფილებებსა და სამსახურებს, დეპუტატებს, საზოგადოებრივ ფორმირებებს. მათმა საქმიანობამ, რომელსაც აკლია კონკრეტულობა, ოპერატიულობა, კომპეტენტურობა, გამოიწვია ის, რომ ქალაქის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები წლების მანძილზე ვერ ასრულებენ თავიანთ საგეგმო დავალებებს.

საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა, როცა საქალაქო საბჭომ საგნობრივად, ენერგიულად მოჰკიდა ხელი სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფას, მეტი ყურადღება დაუთმო აქ ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების სწორ შეხამებას, ადამიანებთან ცოცხალ მუშაობას, კონკრეტულ უბნებზე ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობას.

მაგალითად, ორმხრივ ღონისძიებებზე დაყრდნობით საქალაქო საბჭომ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მჭიდრო კონტაქტები დაამყარა საკავშირო სამინისტროებთან, რომლებიც რუსთავში ახორციელებენ მისი საწარმოების რეკონსტრუქციას, ახალ სიმძლავრეთა მშენებლობას. ამან მტკიცე საფუძველი შეუქმნა ქალაქის ბევრი არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური პრობლემის გადაჭრას. მარტო წელს აქ აშენდება 70 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის ბინები, მათ შორის ხუთი საოჯახო საერთო საცხოვრებელი. დაწყებულია წყალსადენის მშენებლობა, რომლის ერთ-ერთი ხაზი უკვე წელს გაიყვანენ. მწყობრში ჩადგა მეორე საქვაბე, რომელიც გადაჭრის 2000 წლამდე მოსახლეობის თბომომარაგების პრობლემას. ფართოვდება სკოლებისა და სკოლამდელთა დაწესებულებების ქსელი. მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ აგრეთვე კინოთეატრი, სავაჭრო ცენტრი, თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზია, ხილბოსტანბაღჩეულის საფირმო მაღაზია. სულ კი საბინაო-კომუნალური მშენებლობის საჭიროებებისა და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის შარშან და წელს საკავშირო სამინისტროებმა გამოჰყვეს 32 მილიონ მანეთზე მეტი.

ცვლილებები შეინიშნება მეტალურგიული ქარხნის კოლექტივშიც, რომელმაც ბოლო წლებში დათმო პოზიციები, განიცდიდა კადრების ნაკლებობას. ახლა კოლექტივი შეივსო რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული 500 ახალგაზრდა მუშით. დაახლოებით ამდენივე მუშა მისცა ქარხანას თვად რუსთავმა, და, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, წლის დამდეგიდან მშობლიურ საამქროებს დაუბრუნდა დაახლოებით 200 ყოფილი მუშა.

და აი შედეგიც: ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შესრულა პირველი კვარტლის დავალება მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით და რეალური საფუძველი შეუქმნა არა მარტო მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებათა შესრულებას, არამედ დავალიანების ნაწილობრივ ლიკვიდაციასაც, რომელიც წარსულში იყო დაშვებული.

ადამიანებთან მუშაობა, მათთვის ზრუნვა თავის შედეგებს იძლევა ადიგენის რაიონშიც. ეს მუშაობა რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა ლაპარაკი აქ გაშლილ პატრიოტულ მოძრაობაზე, რომლის მიზანია აღადგინონ და დაასახლონ ერთ დროს დაცარიელებული სოფლები; მთას დაუბრუნონ მთიელები, წარმატებით გადაწყვიტონ სასურსათო პროგრამა. კვლავ გაჩაღდა კერები სოფლებში ზანავში, ამხერში, უტკისუბანში, ჩელაში, ხამნიაურსა და საირმეში. ახალმოსახლეებს ელის კიდევ 25 სოფელი. მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე აღორძინებულ სოფლებში 180 ოჯახი დასახლდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აითვისებენ ასობით ჰექტარ ყამირს, გაზრდიან რაიონის სასურსათო ბალანსს.

ამ გარდაქმნებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რაიონის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მარჯვედ წარმართავს საბჭოების საქმიანობას. მაგრამ კრებაზე თვითკრიტიკულად აღიარეს ისიც, რომ პარტიის რაიკომმა ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისადმი წვრილმან მეურვეობას. პარტიული მუშაკები ჯერ კიდევ ხშირად ასრულებენ წმინდა სამეურნეო საქმეებს, აგროვებენ სტატისტიკურ და საინფორმაციო მასალას, განიხილავენ წერილებსა და საჩივრებს — დოკუმენტებს, რომლებიც არ შედის მათს კომპეტენციაში. და ეს ხდება იმ დროს, როცა საბჭოები, იმ სხვა ორგანოების მუშაკები, რომლებსაც ეს დოკუმენტები უშუალოდ ეხებათ, სრული დატვირთვით არ მუშაობენ.

საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესება, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფაში მათი როლის ამაღლება უნდა გახდეს რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამა— მოითხოვა კრებამ.

კრების რეზოლუციიდან:

გამოიყენონ პარტიული გავლენის ყველა მეთოდი, რათა აამაღლონ საბჭოების მუშაობის ეფექტიანობა, დაძლიონ აქ ფორმალიზმის, უინიციატივობის, უპასუხისმგებლობის გამოვლინებანი;

გაზარდონ მომთხოვნელობა საბჭოთა ორგანოებისადმი, სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკვანძო უბნებზე საქმის ვითარებისათვის, მკაცრი და განუწყვეტელი კონტროლი გაუწიონ იმას, თუ როგორ ასრულებენ ისინი პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნებს სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში;

განუწყვეტლივ იზრუნონ იმისათვის, რომ საბჭოთა ორგანოები განმტკიცდეს ორგანიზატორული უნარის მქონე მაღალკომპეტენტური კადრებით, ნიადაგ ზრდიდნენ მათ საბჭოების საქმიანობის შინაარსისა და სტილისადმი პარტიის მოთხოვნათა სულისკვეთებით;

მტკიცედ იღვწოდნენ სამეურნეო მშენებლობაში საბჭოების როლის ამაღლების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მინიჭებული უფლებების განხორციელებისათვის;

განუხრელად, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, იღვაწონ სოციალური საკითხების სათანადოდ გადაწყვეტისათვის, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მკაცრად აღკვეთონ ადამიანისადმი ბიუროკრატიული, უყურადღებო დამოკიდებულების ყოველი გამოვლინება;

უზრუნველყონ თანამიმდევრულობა და პრინციპულობა სამეურნეო ხელმძღვანელების მიერ სოციალისტური კანონების დაცვის საკითხებში, ყველგან შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება მათი გვერდის ავლის ან დარღვევის ცდებისადმი;

განახორციელონ წარმოებასა და მართვაში დასაქმებული მუშაკების რიცხვის თანაფარდობის გაუმჯობესების, ადმინისტრაციული აპარატის შემცირების, მომავალში მისი გაზრდის თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებანი;

სრულყონ საბჭოების საქმიანობის შინაარსი და სტილი, აამაღლონ აღმასკომების სესიების შედეგიანობა, მუდმივი კომისიების შემოქმედების ეფექტიანობა, დეპუტატების აქტიურობა, გააუმჯობესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი;

შეიმუშაონ და დაამტკიცონ საბჭოთა ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების, საბჭოების საქმიანობის სრულყოფის, მათი შესაძლებლობების, უფლებებისა და უფლებამოსილების ეფექტიანი რეალიზაციის ღონისძიებათა კონკრეტული პერსპექტიული გეგმები.

სკოლა პარტიული საზრუნავი, საყოველთაო-სახალხო საზრუნავია

საბჭოების საქმიანობის სრულყოფის საკითხებთან მჭიდრო კავშირით განიხილა აქტივის კრებამ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული ამოცანები. ორატორებმა განსაზღვრეს ამ საერთო-სახალხო საქმეში რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მოქმედების პროგრამა და გამოთქვეს მოზარდი თაობის განათლებისა და კომუნისტური აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებაზე პარტიული გავლენის გაძლიერების კონკრეტული წინადადებანი.

სკოლის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე, მოამზადოს მოზარდი თაობა აქტიური აღმშენებლობითი საქმიანობისათვის, განუხრელად იზრუნოს ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი და შრომითი წრთობისათვის. სწორედ ამ მიზანს ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა.

მთელი რიგი წამყვანი პოზიციების მიხედვით სახალხო განათლების რესპუბლიკური სისტემა პრაქტიკულად მზად არის უკვე ახალი სასწავლო წლის დამდეგიდან განახორციელოს რეფორმით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებანი, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. ექვსი წლის ასაკის ბავშვთა დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი სწავლობს ახლა მოსამზადებელ კლასებში, რაც რეალურ შესაძლებლობებს იძლევა ყველგან გადავიდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექვსი წლიდან სწავლებაზე.

რესპუბლიკაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილებაა შეძენილი. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია პრობლემა, რომლებიც უკავშირდება დაწყებითი კლასების რაოდენობის გადიდებას, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ექვსი წლის ბავშვების სწავლებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას.

მასწავლებლებისათვის, რომლებიც პირველად მივლენ შემოდგომაზე პირველ კლასში, ეწყობა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსები. შექმნილია სპეციალური სასწავლო გეგმები, პროგრამები, შედგენილია მეთოდიკური წერილები და შესაბამისი რეკომენდაციები ექვსი წლის ასაკის პირველკლასელებთან მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

რეფორმამ მარტო დაწყებითი სკოლისათვის პედაგოგების მომზადების პრობლემა როდი მონიშნა. კადრების დაკომპლექტება, მასწავლებლისათვის ზრუნვა დიდ პარტიულ ყურადღებას მოითხოვს, ხაზი გაუსვეს ორატორებმა. მოზარდი თაობის წარმატებით აღზრდაში ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებლის ენერგიაზე, გულმოდგინებაზე, თავისი მოვალეობის შთაგონებით შესრულებაზე. და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა პირდაპირ არის დამოკიდებული მასწავლებლების პროფესიული და ზოგადკულტურული მომზადების გაუმჯობესებაზე. როგორც სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე აღინიშნა, საქმე არა მარტო და, შეიძლება, არა იმდენად ის არის, რომ უკეთ ვასწავლოთ მასწავლებელს, უწინარეს ყოვლისა მან თვად უნდა ისწავლოს.

კრებაზე აღძრულ დღევანდელი სკოლის პრობლემებს შორის არის პედაგოგიური მუშაობით მამაკაცების ნაკლები დაინტერესება. ბევრ სკოლაში ისინი თითო-ოროლა არიან, რაც ბევრ ფსიქოლოგიურ პრობლემას ქმნის აღზრდაში, არასასურველ სოციალურ შედეგებს იწვევს.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა თბილისის სკოლების გამოცდილება, სადაც მიზანმიმართული მუშაობის მეოხებით პედაგოგ მამაკაცთა რიცხვი ბოლო წლებში ერთიორად გაიზარდა.

დედაქალაქის მთელი რიგი სკოლების პრაქტიკაში გაჩნდა სიახლე: მასწავლებელთა თანამდებობებზე აქ ახალგაზრდა მეცნიერებს იწვევენ. ქალაქის მეცნიერული პოტენციალი საშუალებას გვაძლევს გავაფართოოთ ესოდენ სასარგებლო წამოწყება.

თავის მხრივ სწორედ შემოქმედ მოაზროვნე მასწავლებელთა შორის უნდა ვეძებოთ მეცნიერი-პედაგოგები, რომლებიც ხელმიწვდომით იქნებიან დაუფლებული საგანსაც, მათემატიკა იქნება ეს თუ ისტორია, მეთოდიკურ აღზრდასაც და სწავლებასაც, გამოიყენებენ თანამედროვე პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ჰიგიენის მიღწევებს.

დღევანდელ სკოლაში კვლავ „დეფიციტურია" აგრეთვე შრომის მასწავლებლის, საწარმოო სწავლების ოსტატის — იმ ადამიანთა თანამდებობა, რომლებიც დააინტერესებენ ბავშვებს, ჩაუნერგავენ მათ შრომის სიყვარულს, რაც მოთხოვნილებად უნდა ვაქციოთ. მაგრამ ასეთი სპეციალისტები, მით უმეტეს კარგად მომზადებული, სამწუხაროდ, ჯერ ძალიან ცოტა გვყავს. და აქ ჯერი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროზეა.

სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეში — ახალი ადამიანის აღზრდაში სკოლის პირველი თანაშემწე და მოკავშირე მშობლები არიან. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ საკითხს მიაპყრეს მთავარი ყურადღება კრების მონაწილეებმა. ახლანდელი თაობა იზრდება ისე, რომ არ განიცდის მამა-პაპათა გაჭირვებას, მატერიალური კეთილდღეობის, ფართო შესაძლებლობის პირობებში. მაგრამ დაუშვებელია, როცა შეძლება წარმოშობს მეშჩანურ ფსიქოლოგიას, სხვის მოიმედეობას, როცა ახალგაზრდები ცდილობენ „თავი გამოიჩინონ" არა ცოდნით და შრომისმოყვარეობით, არამედ მშობლების ფულით შეძენილი ძვირადღირებული ნივთებით. ბევრი ამგვარი ნეგატიური მოვლენის მიზეზია ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებანი, ოჯახისა და სკოლის ღონისძიებათა დაქსაქსვა, — ხაზი გაუსვეს ორატორებმა.

პედაგოგიკა უნდა გახდეს მეცნიერება ყველასათვის: მასწავლებლებისათვისაც, მშობლებისთვისაც, ამბობდა გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი ვ. სუხომლინსკი. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა ვაფასებდეთ მეცნიერი პედაგოგების მუშაობას, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მეცადინეობას.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იქმნება ლაბორატორია, სადაც მშობლები მიიღებენ საჭირო კონსულტაციას ბავშვების აღზრდის, ოჯახური ურთიერთობის განმტკიცების საკითხებზე. ეს ლაბორატორია გახდება თავისებური პედაგოგიური „პოლიკლინიკა", რომლის პერსონალს შეადგენენ კვალიფიციური სპეციალისტები — პედაგოგები, ჰიგიენისტები, ფსიქოლოგები...

მშობელთა პედაგოგიური განათლების სისტემა ეფექტიანად მოქმედებს ახლა თბილისის კიროვის რაიონში. იმის გათვალისწინებით, რომ რაიონი მრავალეროვანია, პედაგოგიური ცოდნის მშობელთა სახალხო უნივერსიტეტები აქ ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ქურთულ ენებზე მუშაობენ.

სასკოლო საქმის რეფორმა პერსპექტიული ხასიათისაა, თუ გავითვალისწინებთ სწრაფად მზარდი ეკონომიკის როგორც ახლანდელ, ისე მომავალ მოთხოვნილებებს. რუსთავში, მაგალითად, წარმოებასთან სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების კავშირის შემდგომი განმტკიცების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო სწავლების კომბინატების შექმნას, მათი თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვას. ამ მიმართულებით გაჩაღდა მუშაობა ქალაქის ქიმიურ, ჩარხსაშენებელ, სხვა საწარმოებში. ახალი სასწავლო წლიდან მწყობრში ჩადგება პროფტექნიკური სასწავლებლების ორი ახალი კომპლექსი, ხოლო № 86 პროფტექნიკური სასწავლებელი საბაზო გახდება მეტალურგიული ქარხნისათვის კადრების მომზადებაში.

მაგრამ ყველგან არ ესმით, რომ საჭიროა სკოლისა და წარმოების კავშირის განმტკიცება. მთელ სამხრეთ ოსეთში, მაგალითად, ითქვა კრებაზე, არ არის სასწავლო-საწარმოო საამქრო, კომბინატი.

სასკოლო რეფორმის ახალი და უეჭველად პრინციპული მოთხოვნაა საყოველთაო საშუალო და საყოველთაო პროფესიული განათლების შეერთება. ამასთან დაკავშირებით უნდა გავაძლიეროთ განათლების პოლიტექნიკური მიმართულება, მეტი ყურადღება დავუთმოთ [illegible] ლაბორატორიულ მეცადინეობას, აგრეთვე ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა [illegible] ყენების ჩვევებს, და ამით საფუძველი შევუქმნათ ახალგაზრდობის შრომით სწავლებასა და პროფესიულ ორიენტაციას.

იმსჯელეს რა პროფესიული საყოველთაო სწავლების რეალიზაციის გზებზე, კრების მონაწილეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ საჭიროა უწინარეს ყოვლისა გაფართოვდეს და განმტკიცდეს პროფტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, შეიქმნას მათში პროფესიული სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის ცენტრები.

პროფტექნიკური სასწავლებლების პრესტიჟი ბოლო წლების მანძილზე განუზომლად გაიზარდა. რესპუბლიკის ბევრ სასწავლებელში შესვლა შეუძლია მხოლოდ ცოდნის კონკურსში გამარჯვებულს.

მაგრამ, როგორც აღინიშნა კრებაზე, დღემდე ფართოდ არის გავრცელებული სკოლების მიერ პროფტექნიკურ სასწავლებლებში ნაკლებ მომზადებული, ნაკლებ დისციპლინიანი, ნაკლებ მომზადებული ბავშვების გაგზავნა. პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების შევსება ასეთი კონტინგენტით ეწინააღმდეგება მუშათა კლასის სოციალურ-პოლიტიკურ როლს. მოცემულ ეტაპზეც კი, როცა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის განვითარება მოითხოვს დიდ მუშაობას, ჯერ კიდევ ცოცხლობს ტენდენცია „სამოსანი — პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში!" ამასთან, ამ ტენდენციას ავლენენ არა მარტო უწიგნური პედაგოგები, არამედ განათლების სისტემის ზოგიერთი ხელმძღვანელიც.

მოსწავლეთა განაწილება სწავლების ნაკადების მიხედვით სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დაკომპლექტება მოითხოვს სწორედ სახელმწიფოებრივ მიდგომას, პედაგოგების მაღალ პარტიულობას, პედაგოგიურ ზნეობას.

ორატორები შეეხნენ რეფორმის განხორციელების მრავალ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომლის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის მუშაობა აიყვანოს თვისებრივად ახალ დონეზე, აღმოფხვრას მის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ მეცნიერების საფუძვლების ღრმად დაუფლება, ჩამოუყალიბოს მათ მყარი კომუნისტური მრწამსი, შრომისმოყვარეობა, ზნეობრივი სიწმინდე, ჩაუნერგოს პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. რეფორმა, განაცხადა კრებამ, ძირეულად გააუმჯობესებს ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და პროფესიულ ორიენტაციას, კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებას, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებას შეავსებს საყოველთაო პროფგანათლებით.

კრების რეზოლუციიდან:

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უპირველეს ამოცანად მიიჩნიონ სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა პრაქტიკული განხორციელება, უკვე მიმდინარე წელს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის შემდგომი სრულყოფისათვის, ყველგან ექვსი წლის ასაკიდან ბავშვების სწავლებაზე ორგანიზებული გადასვლის შესაბამისი პირობების შექმნისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს მეთერთმეტე-მეთორმეტე ხუთწლედებში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების რეალიზაციის ეტაპობრივი გეგმა.

პარტიულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში განსაზღვრონ რეფორმის განხორციელების ორგანიზაციული, ეკონომიკური და იდეოლოგიური უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით;

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა გააუმჯობესონ სკოლისადმი ხელმძღვანელობა, სრულყონ სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის სტილი და მეთოდები, უფრო საგნობრივად მოეკიდონ სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლებისა და სკოლამდელთა დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის მშენებლობისა და რემონტის, გაფართოებისა და განმტკიცების საკითხებს, ნიადაგ იზრუნონ პედაგოგთა კადრებისათვის, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. თითოეულ სკოლასა და პროფტექნიკურ სასწავლებელს მიამაგრონ საბაზო საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება;

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, შრომის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, განათლების სამინისტრომ, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ წინადადებანი, რომელთა მიზანია უზრუნველყონ კვალიფიციურ მუშებზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოთხოვნილებებისა და მათი მომზადების შეწონასწორება, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების უპირატესი შექმნა ახალი დიდი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ობიექტების მშენებლობისას;

სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა შექმნან შრომითი სწავლებისათვის საჭირო პირობები; გამოყონ კვალიფიციური კადრები, მოწყობილობა, სამუშაო ადგილები, ნედლეული და მასალები, აამაღლონ საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა შრომითი აღზრდისათვის;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, განათლების სამინისტრომ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოახმარონ მეცნიერთა მეცადინეობა სახალხო განათლების სრულყოფის პრობლემათა დამუშავებას, მიაღწიონ მეცნიერული კვლევის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას, აქტიურად დანერგონ მისი შედეგები პრაქტიკაში;

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აამაღლოს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების როლი მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის შემდგომ სრულყოფაში, მათი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებაში, პასუხისმგებლობის გაძლიერებაში;

რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და შემოქმედებითი კავშირებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა უფრო საგნობრივად მოეკიდონ მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის, ბავშვებსა და მოზარდებს შორის სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს.

საქართველოს პროფსაბჭომ, ადგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანოებმა ხელი შეუწყონ მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ პედაგოგთა და მოზარდთა შრომისა და დასვენების, კულტურული მომსახურების, სანატორიული მკურნალობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებით ფრთაშესხმული რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა განახორციელონ პარტიის წინასწარდასახულობანი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის. (საქინფორმი).

მეგობრობისა და სოლიდარობის ურთიერთობა

25 აპრილს მოსკოვში გაიმართა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ავღანეთის აპრილის რევოლუციის მე-6 წლისთავს. კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისწრაფვიან კიდევ უფრო განავითარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის, სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა.

აღინიშნა, რომ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელებული ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ ავღანელ ხალხს შესაძლებლობა მისცა აეხდინა ოდინდელი ოცნება — შესდგომოდა სოციალური პროგრესისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი საზოგადოების მშენებლობას. გამოსვლებში გამოიკვეთა იმ ბრძოლის სრული მხარდაჭერა, რომელსაც ავღანელი ხალხი ეწევა დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვში ელჩმა ხ. მანგალმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ავღანეთის მიმართ ხორცშესხმული ინტერნაციონალიზმის ნიმუშია. მან ულრმესი მადლობა უძღვნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს ახალი საზოგადოების მშენებლობაში ყოველმხრივი დახმარებისათვის.

(საქდესი).

● ●

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს სხდომის შედეგები

1984 წლის 24-26 აპრილს ქალაქ პრაღაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ვ. გ. კულიკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს მორიგი სხდომა.

სამხედრო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ სამხედრო საბჭოს წევრები და მათი მეთაურობით ბულგარეთის სახალხო არმიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის, პოლონეთის ჯარის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის არმიის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებული ძალების, უნგრეთის სახალხო არმიისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის დელეგაციები.

სამხედრო საბჭომ განიხილა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირებზე, თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის სხდომებზე მიღებული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებების შესრულებისათვის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების პრაქტიკული საქმიანობის საკითხები და მიიღო მათ გამო შესაბამისი რეკომენდაციები.

სხდომამ საქმიან ვითარებაში, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

● ●

გამოიცა მასობრივი ტირაჟით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის მასალები, რომელშიც შევიდა: საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სიტყვა და პლენუმის დადგენილებანი სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობისა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ.

ბროშურა დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სტამბაში. (საქინფორმი).

• • •

ბროშურად გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ი. დოლგიხის მოხსენება „ლენინის მოძღვრება და საქმე — მილიონთა რევოლუციურ შემოქმედებაში". მოხსენება წაკითხული იყო ვ. ი. ლენინის დაბადების 114 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში 1984 წლის 20 აპრილს.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საქდესი).

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელ ოპერატორს ლომერ ბიძინას ძე **ახვლედიანს** მიენიჭა „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდება.

სოციოლოგთა დიდი თავყრილობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც განუხრელად ასრულებს ლენინის ანდერძს, ხელმძღვანელობს პარტიის ყრილობების დებულებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და მითითებებით, მათ შორის, საქართველოს შესახებ მიღებული დადგენილებებით, სოციალური ინფორმაციის გამოვლენის ტრადიციული და გამართლებული არხებისა და საშუალებების გამოყენებასთან ერთად აქტიურად იყენებს ამ მიზნით მეცნიერული სოციოლოგიის მეთოდებსაც.

1975 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭო. შემდეგ მხედველობაში იქნა მიღებული სკკპ XXVI ყრილობაზე დასახული ამოცანების სირთულე, საბჭოს მიერ შეძენილი გამოცდილება, და 1981 წლის დამლევს იგი გარდაიქმნა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზირებისა და ჩამოყალიბების ცენტრად, რომლის სამუშაო ორგანოც გახდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის სექტორში შექმნილი საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი განყოფილება.

ცენტრის მუშაობის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმები დგება ძირითადად ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განყოფილებების განაცხადების, ცენტრის, პრეზიდიუმის წევრთა, კომუნისტთა, მშრომელთა წინადადებების საფუძველზე. გარდა ამისა, საჭიროებისამებრ, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ცენტრს აკისრებს ოპერატიულ დავალებებს. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს კომპეტენტურობა ამა თუ იმ სპეციალური პროგრამის შესწავლის, კვლევის, შერჩევის, პროგრამების, კითხვარების, ანკეტების მომზადების, რეკომენდაციებისა და ანალიზურ ცნობაზე მუშაობის დროს, ცენტრის შემადგენლობაში, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად შედის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეს თითო მოადგილე.

პარტიულ კომიტეტებთან საკონსულტაციო სოციოლოგიური რგოლის ასეთი ორგანიზაციული ერთიანობა, გაერთიანებული ძალისხმევით გადასაწყვეტი ამოცანების მჭიდრო კავშირი შესაძლებლობას იძლევა: **ჯერ ერთი**, გაიზარდოს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ხელისუფლების, მართვისა და საზოგადოებრივი აზრის ორგანოების შეთანხმებული თანამოქმედების უზრუნველსაყოფად, დაუახლოვდეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სისტემა პარტიულ ორგანიზაციათა და მშრომელთა ინტერესებს, მიენიჭოს საზოგადოებრივი აზრის შესწავლას მკაფიო პოლიტიკური და პრაქტიკული გეზი; **მეორე**, ამაღლდეს რესპუბლიკაში მიმდინარე კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის მეცნიერული დონე, უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლით დასაქმებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობა და გეგმები, აღიკვეთოს მათ მუშაობაში დუბლირება და წვრილთემიანობა; **მესამე**, სტიმული მიეცეს მშრომელთა სოციალური აქტიურობის შემდგომ გაძლიერებას, განუმტკიცდეთ მათ მიმდინარე მოვლენების, ადგილებზე და მთლიანად რესპუბლიკაში არსებული საქმის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის ბატონპატრონული შეგნება; **მეოთხე**, გაიზარდოს საზოგადოებრივი აზრის გამოყენების ეფექტიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების, წარმოების, მართვის სრულყოფის მიზნით.

დღესდღეობით შესწავლილია საზოგადოებრივი აზრი რესპუბლიკის ცხოვრებისა და განვითარების ორმოც ყველაზე აქტუალურ, საჭირბოროტო პრობლემასთან დაკავშირებით. მათი შედეგები არაერთგზის გამოუყენებიათ თავიანთი მუშაობის დროს პლენუმებსა და აქტივის კრებებს, როგორც წესი, განიხილავდნენ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე. ეს შედეგები საფუძვლად დაედო ცენტრალური კომიტეტის არა ერთ უმნიშვნელოვანეს დადგენილებას, მათ გაამდიდრეს საქართველოს კომპარტიის წარმომადგენელთა გამოსვლები მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხებისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო-სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებზე.

ლაპარაკობენ სემინარის მონაწილენი

მეორე დღეა თბილისში მუშაობას განაგრძობს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მოქმედ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი თემაზე: პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გამოყენების პრაქტიკა — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ა. ფრანგიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

იმ სტრატეგიულ ამოცანებს შორის, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ ჩამოაყალიბა, განსაკუთრებული ადგილი უკავია ამოცანას, რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნასთან — უფრო სრულად ვიყენებდეთ სოციალისტური დემოკრატიის შესაძლებლობებს, რათა მშრომელები სულ უფრო ფართოდ მონაწილეობდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის, 1984 წლის თებერვლის პლენუმებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოციალისტური სახალხო ხელისუფლების არხებისა და ფორმების თანამიმდევრული გაფართოება ის უმნიშვნელოვანესი წინამძღვარია, რომელიც უზრუნველყოფს მასების სოციალური აქტიურობის ყოველმხრივ გაძლიერებას, სახალხო მეურნეობის მართვის მექანიზმის სრულყოფას, და მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ყველა პრობლემის წარმატებით გადაწყვეტასაც.

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მმართველი პარტიების გამოცდილება მოწმობს, მართვის სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის, პარტიული მუშაობის დონის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება შეიძლება გახდეს საზოგადოებრივ შეფასებათა შეტანა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებაში მაღალი შეფასება მიეცა იმ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც პარტიულ მუშაობაში მეცნიერული მეთოდების დანერგვის მეოხებით, კერძოდ მასების გუნება-განწყობილების, ინტერესებისა და მოთხოვნილებების სერიოზული შესწავლის საფუძველზე შეძლეს მოეგვარებინათ უკუკავშირის მოქნილი და ოპერატიული სისტემა. საგულისხმო და ნიშანდობლივია, რომ ამ ორგანიზაციებს შორის დაასახელეს საქართველოს კომპარტიაც.

მეცნიერების, კონკრეტულად — სოციოლოგიის მეთოდებზე დაყრდნობა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს დროულად აღმოაჩინონ ცხოვრების სიახლის ყლორტები, ხელი შეუწყონ პროგრესული ტენდენციების დამკვიდრებას, გამოავლინონ ნაკლოვანებანი, გააფართოონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, შეზღუდონ სუბიექტივიზმის გამოვლინებანი, და ყოველივე ამას მიაღწიონ მასების გამოვლენილი აზრის, არა აბსტრაქტული და ზოგადი მოსაზრებების, არამედ შემოწმებული მათემატიკური მახასიათებლების საფუძველზე.

მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილ პირველ ასეთ კრებულში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზირებისა და ჩამოყალიბების ცენტრის და მისი საბაზო ორგანიზაციების, რესპუბლიკაში მოქმედი სხვა ანალოგიური ქვეგანაყოფის თანამშრომლები გვიამბობენ თავიანთი მუშაობის ზოგიერთი ასპექტების შესახებ, გვიზიარებენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების შესწავლისა და პრაქტიკული გამოყენების თავიანთ გამოცდილებას რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ პრობლემაზე მშრომელთა აზრის გამოვლენის მიზნით.

ნ. ბურჯანაძე,

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი

სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად რესპუბლიკის დედაქალაქის გადაქცევის ამოცანას უდავოდ ნოვატორული ხასიათი აქვს, ვინაიდან იგი მოიცავს ეკონომიკური განვითარების, სოციალური და კულტურული მშენებლობის კომპლექსური პროგრამის საკითხებს. მისი გადაწყვეტა მოითხოვს დიდ ძალისხმევას და ეს, უწინარეს ყოვლისა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ქალაქის შრომითი კოლექტივების, ყველა თბილისელის საქმეა.

სწორედ ამიტომ არის, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც იღწვის იმისათვის, რომ დედაქალაქი ყოველმხრივ სანიმუშო გახდეს, ამავდროულად ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოფს პირობებს ადამიანთა შეგნებაში კომუნისტური ნიშან-თვისებების დასამკვიდრებლად მთელი იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ასამაღლებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნების დონეზე. აღმზრდელობითი მუშაობა კი, როგორც პლენუმზე აღინიშნა, — ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მასებთან პარტიის კავშირის საკითხი, რომლის შემდგომი განმტკიცება დღესდღეობით წარმოუდგენელია ინფორმაციის მიღების არხების სრულყოფის გარეშე.

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა მოქნილი და ოპერატიული კავშირის ისეთი ფორმები, როგორიც არის მშრომელთა გამოსვლები და წერილები, შეკითხვები ლექტორებისა და პროპაგანდისტებისადმი, სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს დროულად განვსაზღვროთ ადამიანთა გუნება-განწყობილებაში მომხდარი ცვლილებები, ღრმად შევისწავლოთ მათი ინტერესები და მოთხოვნილებანი.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში მოქმედებს საზოგადოებრივი აზრის საბჭო, რომელიც გეგმავს, კოორდინაციას უწევს და წარმართავს უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკურ, სამეცნიერო, კულტურულ საკითხებზე ქალაქის შრომითი კოლექტივების წევრთა, თბილისის მცხოვრებთა საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, ამუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და აკონტროლებს პარტიის რაიკომებთან, პარტკომებთან და პარტბიუროებთან არსებული სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკური საბჭოების, სექციებისა და ბიუროების საქმიანობას.

რა დასკვნები გამომდინარეობს პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის პრაქტიკაში სოციოლოგიური კვლევის გამოყენების გამოცდილების ანალიზიდან? უწინარეს ყოვლისა, ეს კვლევა გახდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობისა და ქალაქის ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე პარტიულ გადაწყვეტილებათა მიღების მტკიცე ბაზა (პლენუმებისა და ბიუროს დონეზე). პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მთელ რიგ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია პარტიული სწავლების ეფექტიანობის, თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების, ქალაქში შრომითი რესურსების ოპტიმალური მოხმარების, საწარმოო კოლექტივების სოციალური დაგეგმვის, ათეისტური აღზრდის, სასამართლო გადაწყვეტილებების კვლევის დასკვნები და სხვ.

საზოგადოებრივი აზრის საბჭო მიღებული ინფორმაციის ანალიზს იყენებს პრაქტიკულ მუშაობაში, და საქალაქო კომიტეტის დარგობრივ განყოფილებებთან ერთად ანხორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციისათვის. მაგალითად, მოეწყო ქ. თბილისის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა ქალაქის ცხოვრების ზოგიერთი პრობლემის გამო. აზრის გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. კვლევამ დაადასტურა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს დედაქალაქში დიდი მუშაობაა გაწეული საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, გაუმჯობესდა კულტურის ძეგლების დაცვა. რამდენადმე გაუმჯობესდა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა, დადებითი ტენდენციები დაისახა კომუნალური მომსახურებისა და ჯანდაცვის მუშაობაში, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში.

მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სრულყოფის, პარტიული ორგანოების პრაქტიკაში სოციოლოგიური მეთოდების გამოყენების საკითხებზე, რომელთა გადაჭრაც შეგვაძლებინებდა ცალკეული გამოკვლევებიდან გადავსულიყავით სისტემატურ კვლევაზე, საზოგადოებრივი შეგნების მდგომარეობის კონსტატაციიდან იდეოლოგიური შემოქმედების დინამიკური ეფექტიანობის, რეალობის შეფასებაზე.

პირველი მოსაზრება: ეჭვი არ არის, რომ დღესდღეობით შექმნილია ერთობ რთული სიტუაცია — სოციოლოგიურმა კვლევამ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა, პროფესიულ სოციოლოგთა მომზადების სისტემა კი ჯერაც არ ჩამოყალიბებულა. იგრძნობა კადრების მწვავე ნაკლებობა.

მეორე მოსაზრება: პარტიულ-პოლიტიკურ ლიტერატურაში უფრო სრულად უნდა ვაშუქებდეთ მეცნიერულად დასაბუთებულ ნამუშევრებსა და რეკომენდაციებს სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკის საკითხებზე, უზრუნველვყოთ მეთოდოლოგიური და თეორიული პრობლემების ფართო განხილვა, კერძოდ, პარტიული მშენებლობის თეორიისა და გამოყენებითი სოციოლოგიის თანაფარდობის საკითხებზე და ა. შ.

და კიდევ ერთი მოსაზრება: როცა პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს სხდომებზე განვიხილეთ ქალაქის ცალკეული სოციოლოგიური ცენტრების (მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის) მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები, იძულებული ვიყავით გვეღიარებინა, რომ გარკვეული განსხვავებაა, ერთი მხრივ, კვლევის მიმართულებასა და თემატიკას და, მეორე მხრივ, სამეურნეო-ორგანიზატორული, იდეოლოგიური მუშაობის რეალურ მოთხოვნებს შორის. ბევრი კვლევა, რომლებსაც სოციოლოგიური სამსახურები ეწევიან, ვრცელი ემპირიული ბაზის მიუხედავად მთავრდება მხოლოდ და მხოლოდ თეორიული დასკვნებით. ამრიგად, ამ სამსახურებში სოციოლოგიური რგოლის საქმიანობის ძირითადი მიზანი — მართვისა და დაგეგმვის ეფექტიანი ორგანიზაციის ფორმების დანერგვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება — მიუღწეველი რჩება.

ერთი სიტყვით, კვლევის ხელმძღვანელობა, პროგრამების შედგენა, ინტერვიუერთა გაწვრთნა და ინსტრუქტაჟი პროფესიონალთა მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს საზოგადოებრივი სოციოლოგიური სამსახურების შეფობაში.

ცენტრი

ЦЕНТР

ЦЕНТР ПО ИЗУЧЕНИЮ ОБЩЕСТВЕННОГО МНЕНИЯ ПРИ ЦК КП ГРУЗИИ

რ. ბუტბა,

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობისა და პრაქტიკული ღირებულების ზრდა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ხდება იგი მეცნიერული შესწავლის ობიექტი, რამდენად კვალიფიციურად და მარჯვედ ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციები მისი ჩამოყალიბებისა და შესწავლის პროცესებს, როგორ იყენებენ საზოგადოებრივ აზრში მოქცეულ უდიდეს პოტენციალს.

აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია რესპუბლიკის საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად. კარგა ხანია, რაც ჩვენთან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის საბჭო.

შეიძლება ითქვას ამით ჩვენ მოვიპოვეთ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა და შევძელით გადავსულიყავით უფრო ფაქიზ მატერიებზე, როგორიც არის ტრადიციები, ეროვნული ურთიერთობა, რელიგია. როგორც ცნობილია, 1975 წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ეს დადგენილება საზოგადოებრივ აზრს ეყრდნობოდა. მოსახლეობის 74 პროცენტმა გამოკითხვის დროს საჭიროდ ცნო „განვეწმინდა ხალხური ტრადიციები, გადაჭრით უკუეგდო ყოველივე უცხო და მონატანი.

რა თქმა უნდა, თანამედროვე ცხოვრების წესისათვის უცხო ტრადიციებისა და ქცევის ნორმების საყოველთაო აღმოფხვრა იოლი საქმე არ არის. მაგრამ საზოგადოებრიობის ხელახალი ორიენტაცია ზნეობრივი, ყოფითი ქცევის მთელ რიგ საკითხებზე აშკარად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დიდი აღმავლობით.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ნიადაგ უთმობს ყურადღებას საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, რომელიც საბჭოთა პატრიოტიზმისა და მარქსისტულ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის საშუალებაა.

პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, პარტიის საოლქო კომიტეტის განყოფილებები აწყობენ საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგიურ კვლევას პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის კონკრეტულ პრობლემებზე. ამ თვალსაზრისით დიდ მუშაობას ეწევიან პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრისა და სოციოლოგიური კვლევის საბჭოები. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მათ 35-ზე მეტი გამოკვლევა განახორციელეს.

საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიამ, რომელიც ქალაქის სამედიცინო მომსახურების სფეროს მდგომარეობის საკითხს სწავლობდა, აგრეთვე იკვლევდა აზრს საქალაქო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შესახებ, პარალელურად შეისწავლა, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრი ქალაქ სოხუმის მშრომელებისათვის ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის შესანიშნავი თვისებების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

ანკეტების ანალიზმა და საკითხის განხილვამ პლენუმზე ცხადყო, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება დიდმნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება ეროვნებათაშორისი ლენინური მეგობრობისა და ადამიანებისათვის საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის განმტკიცების საქმეში.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. გულრიფშის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა აზრის გამოკითხვის დროს გამოირკვა, რომ ამ კოლმეურნეობაში ერთსულოვნად შრომობენ ექვსი ეროვნების წარმომადგენლები — აფხაზები, ქართველები, რუსები, სომხები, ესტონელები, ბერძნები. ჩვენი სოციოლოგებისათვის მიცემულ ინტერვიუში მესამე ბრიგადის კოლმეურნეებმა ს. ბენიძემ, ვ. ცქვიტარიამ, შ. ცანავამ თქვეს, რომ საწარმოო წარმატებებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის წყარო მეგობრობისა და კოლექტივიზმის შეგნება. ამ ბრიგადის ხელმძღვანელმა რეზო გაბელიამ კი დასძინა: „შრომაშიც და ცხოვრებაშიც ჩვენ მტკიცე ურთიერთგაგება და გულითადი მეგობრობა გვაკავშირებს".

ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" მუშებმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას ასევე აღიარეს, რომ მათი ინტერესების, განწყობილებისა და მოსაზრებების შესწავლა, რასაც დირექცია და პარტორგანიზაცია ეწევიან, მნიშვნელოვნად ზრდის მათი შრომის ნაყოფიერებას, განამტკიცებს პიროვნებათაშორისი ურთიერთობის მთელ სისტემას.

„ბედნიერი ვარ, რომ მიხდება მუშაობა მრავალეროვან კოლექტივში, სადაც ინტერნაციონალური მეგობრობა ყველას ფრთას გვასხამს და შთაგვაგონებს ახალ შრომით საგმირო საქმეებს", — ასე განუცხადა ჩვენს მკვლევარებს ქარხნის მოწინავე მუშამ, ამჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ბღანბამ.

ინტერნაციონალური მუშაობის ორგანიზაციაში განსაკუთრებით დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენში ახალგაზრდობის შორის საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევებს. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სტუდენტთა ამასწინანდელმა ანკეტირებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ განწყობილების, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზრის კარგად დაყენებული შესწავლა დიდად უწყობს ხელს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის ერთიანი და ინტერნაციონალური თვითშეგნების განმტკიცებას. უნივერსიტეტში მიმდინარე წლის თებერვალში გამართულ სტუდენტთა საზოგადოებათშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრობლემებს მიეძღვნა, საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ხუთი ეროვნების წარმომადგენლები. ხოლო ამ ღონისძიების მონაწილეთა აზრის გამოკითხვამ დაადასტურა, რაოდენ საჭირო ყოფილა ეს მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და კონტაქტების შემდგომ განმტკიცებას.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის მიზანია, გადააქციოს ინტერნაციონალიზმის პრინციპები ყოველი ადამიანის ზნეობისა და მსოფლმხედველობის პრინციპებად. ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია. იგი გულისხმობს, ერთი მხრივ, ასაკობრივ პროფესიულ და განათლებისმიერ განსხვავებებს და, მეორე მხრივ, ეროვნული და რელიგიური თავისებურებების, საუკუნეობრივი ტრადიციებისა და ყოფაქცევის ნორმების გათვალისწინებას. აშკარაა, რომ ყოველგვარი იდეურ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიება მხოლოდ მაშინ ხდება ქმედითი და ეფექტიანი, როცა მათი შერჩევისას ჯეროვნად ვითვალისწინებთ იმ ადამიანთა მოთხოვნილებებსა და სურვილებს, განწყობილებასა და აზრებს, რომლებისთვისაც შემუშავებულია ეს ღონისძიებანი. სწორედ ამიტომ, ჩვენ გვმართებს განვახორციელოთ ახალი სოციოლოგიური გამოკვლევები არა მარტო მოწყობილ ღონისძიებათა ეფექტიანობის განსაზღვრა-შემოწმებისათვის, არამედ მომავალ ღონისძიებათა შემუშავებისთვისაც.

ჩვენი სოციოლოგიური სამსახურის პროფესიული დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც უარყოფითად გავლენას ახდენს ჩვენი მუშაობის საბოლოო შედეგებზე. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზირებისა და ჩამოყალიბების ცენტრმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენს შესაბამის სამსახურებს.

სოციალისტური საზოგადოებრივი აზრის ნამდვილი ტრიუმფი გახდა ღონისძიებანი, რომლებიც მთელ საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთში მოეწყო გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავის აღსანიშნავად; ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, რომლებიც სისტემატურად იმართება, აფხაზური და ქართული ლიტერატურის საღამოები, კულტურის მოღვაწეთა გამოსვლები აფხაზეთის შრომითი კოლექტივების წინაშე, ჩვეულებრივ მიმდინარეობს, ისეთი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც ნათლად და აშკარად მოწმობს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ნამდვილ ხორცშესხმას.

ამრიგად, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ხორციელდება არა მიღებული შედეგების ქვეყნის გულისათვის, არამედ იმ მიზნით, რომ ფართოდ და რაციონალურად გამოვიყენოთ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, უწინარეს ყოვლისა, იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში, სოციალური მართვის პრაქტიკაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება საზოგადოებრივი აზრის შესწავლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და მორალური ძალისხმევა და მატერიალური დანახარჯები შედეგიანი, მხოლოდ მაშინ გაამართლებენ ისინი თავიანთ დანიშნულებას, უფრო მეტიც, ძვირფას პოლიტიკურ კაპიტალს მოუტანენ პარტორგანიზაციებს.

ზ. კვაჭაძე,

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი

ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრდა მშრომელთა ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს სისტემური მართვის ეფექტიანი, პრაქტიკულად შემოწმებული მეთოდები, რომლებიც მეცნიერებას ემყარება.

მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სოციოლოგიურ მეთოდებს.

ამ თათბირ-სემინარის თვით მოწვევა უკვე თავისთავად მოწმობს, თუ რაოდენ ღრმად ესმის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომ დემოკრატიზაციაში, რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენს რესპუბლიკაში ამ საქმეს.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ მუშაობას განზე ვერ გაუდგებოდნენ ვერც რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ როლს, რომელიც შრომით კოლექტივებს ენიჭებათ საწარმოო, სოციალური და აღმზრდელობითი პრობლემების გადაჭრაში.

საქართველოს პროფსაბჭოს სტრუქტურაში ჩვენ დღესდღეობით ჯერ არ შეგვიქმნია სპეციალური სოციოლოგიური სამსახური საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით (განზრახული გვაქვს ჩამოვაყალიბოთ იგი), მაგრამ მშრომელების, შრომითი კოლექტივების აზრის გამოსავლენად ჩვენ პერიოდულად მივმართავთ ხოლმე სოციოლოგთა დახმარებას, საზოგადოებრივი აზრის ზონდაჟს იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეული სოციალური ინფორმაციის შეკრება გვჭირდება.

მაგალითად, ასეთი ინფორმაცია დაგვჭირდა, როცა გადავწყვიტეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეგვესწავლა საზოგადოებრივი აზრი დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებზე.

როცა საწარმოო კოლექტივში შრომა ცუდად არის ორგანიზებული, როცა წარმოებას „ციებ-ცხელება სჭირს", ხშირია მოცდენა თვის დამდეგს და იერიშობანა — დამლევს, შეუწყნარებელია შრომის პირობები, არ არის შემჭიდროებული სამუშაო დრო, ყოველივე ამან არ შეიძლება არ მოარყიოს შრომის დისციპლინა და, მაშასადამე, არ გამოიწვიოს მორალური ზიანი. მოვიყვან რამდენიმე ციფრს, რომლებიც დავადგინეთ აღნიშნულ პრობლემაზე შრომითი კოლექტივების აზრის შესწავლის შედეგად: კადრების დენადობა, უწინარეს ყოვლისა, დამახასიათებელია ახალგაზრდა მუშაკთა 60-76 პროცენტისათვის, რომელთა მუშაობის სტაჟი არ აღემატება სამ წელიწადს.

შარშან არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, რომლის საწარმოებშიც, ნედლეულისა და მასალის დარგთაშორისი და დარგსშიდა მიწოდების სერიოზული შეფერხების გამო, შრომის დისციპლინის დარღვევით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების პირობებშიც კი, 3-4-ჯერ გაიზარდა სამუშაო დროის დანაკარგები მთელი დღისა და ცვლისშიდა მოცდენის გადიდების შედეგად, და სამუშაო დროის დანაკარგებმა ერთ მუშაზე გაანგარიშებით შეადგინა 3-4 დღე, ანუ 1981 წელთან შედარებით 21 პროცენტით იმატა.

სახალხო მეურნეობის ამ დარგზე მოდის მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგების საკმაო ნაწილი.

რესპუბლიკის მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგები გამოწვეულია ისეთი ფაქტორებითაც, რომლებიც წარმოების ორგანიზაციის დაბალ დონესთან არის დაკავშირებული. სამუშაო დროის დანაკარგები აღნიშნულია შრომის დისციპლინის დარღვევის შედეგადაც.

1982 წელს სამუშაო დროის დანაკარგების მხრივ მდგომარეობა გაუარესდა რესპუბლიკის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის ბევრ საწარმოში, რუსთავის ქიმიურ ქარხანაში, თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანაში", ქუთაისის მოტობლოკების ქარხანაში და ა. შ.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე მიღებულმა ღონისძიებებმა კარგი ნაყოფი გამოიღო. სახალხო მეურნეობაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების, თაოსნობებისა და ინიციატივების დანერგვის მეოხებით 1983 წელს მუშების დენადობა რესპუბლიკის მრეწველობაში წინა წელთან შედარებით შემცირდა, ხოლო სამუშაო დროის დანაკარგებმა გარკვეულად იკლო.

დადებითი შედეგებია მიღწეული აგრეთვე მთლიანად რესპუბლიკის სამშენებლო და ავტოსატრანსპორტო საწარმოებში. 1983 წელს სამუშაო დროის დანაკარგები მშენებლობაში გარკვეულად შემცირდა და იგი გაცილებით უფრო ნაკლებია ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით.

აი, რატომ არის, რომ საქართველოს პროფსაბჭოს განზრახული აქვს დღევანდელი თათბირ-სემინარის მასალების საფუძველზე მოიფიქროს საკითხი, თუ როგორ ავაწყობთ ჩვენს სისტემაში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საქმე, როგორ მოვაწყოთ ასეთი სამსახური პროფსაბჭოში, დიდ საწარმოებსა და დაწესებულებებში, იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას მხარში ამოგვიდგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის პროგნოზირებისა და ჩამოყალიბების ცენტრი.

ს. ამირიძე,

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი

კოლექტივის [illegible] ბულია ხელმძღვანელის პიროვნებაზე, შემსრულებლის კომპეტენტურობაზე და კოლექტიური სამუშაოს შესრულებისას მათს შეთავსება-შეგუებაზე.

საზოგადოებრივი აზრის საბჭომ მოაწყო სოციოლოგიური გამოკვლევა იმ მიზნით, რომ მიეღო ობიექტური ინფორმაცია ლითონკონსტრუქციათა და მეტალურგიული ქარხნების, საწარმოო გაერთიანება „აზოტის" კოლექტივებში არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მდგომარეობის შესახებ.

ყველა აღნიშნული საწარმო მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდა.

მოწყობილმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ვერ სრულდებოდა საგეგმო დავალებანი, უმეტესად დაბალი იყო პროდუქციის ხარისხი, საწარმოდან მიდიოდნენ კვალიფიციური კადრები, სუსტად მუშაობდნენ სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საწარმოების ხელმძღვანელთა პიროვნებას. თანამედროვე ხელმძღვანელს ხომ უნდა ახასიათებდეს არა მარტო ფართო თვალსაწიერი, პოლიტიკური და პროფესიული მომზადება, არამედ აგრეთვე შესანიშნავი მორალური თვისებები, უნარი—იმუშაოს კოლექტივთან, ესმოდეს ადამიანთა გუნება-განწყობილება და გრძნობები, რეალურ ზემოქმედებას ახდენდეს მათს შეგნებასა და ქცევაზე.

კვლევის დროს გამოვლინდა, რომ მთელი ხელმძღვანელი კადრები როდი წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას დაკვირვებით, მარჯვედ და მიზანშეწონილად. როგორც გამოირკვა, მუშაკთა ნაწილი არ იყო ჯეროვნად დაუფლებული წარმოების მართვისა და ადამიანთა აღზრდის თანამედროვე მეთოდებს, დაკარგული ჰქონდა სიახლის ალღო, ხშირად იჩენდა თვითკმაყოფილებასა და გულგრილობას, არ უდგებოდა კრიტიკულად კოლექტივის აზრს. ყოველივე ამან ხელშემწყობი ნიადაგი შეუქმნა სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპების უხეშ დარღვევებს, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, და საბოლოო ანგარიშით, გამოიწვია წარმოების ჩამორჩენა.

მაგალითად, ასეთი სიტუაცია იქმნებოდა წლების მანძილზე რუსთავის ლითონკონსტრუქციათა ქარხანაში, სადაც ირღვეოდა შრომის, ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინა, კადრების შერჩევის პრინციპები, შრომის კანონმდებლობა, უგულებელყოფდნენ მუშათა მოთხოვნებსა და წინადადებებს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი, საქართველოს სსრ შავი მეტალურგიის უდიდესი საწარმო, რომელსაც არაერთგზის გაუმარჯვია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიუღია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, უკანასკნელ ხანს ჩამორჩენილთა რიცხვში აღმოჩნდა.

შექმნილი მდგომარეობის მიზეზების გაანალიზების დროს დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზირებისა და ჩამოყალიბების ცენტრის გამოკვლევის მონაცემებმა, რომლებიც ეხებოდა მეტალურგის პროფესიის პრესტიჟულობის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაგალითით).

ზემოაღნიშნულ ქარხნებთან დაკავშირებულმა გამოცდილებამ გვასწავლა უფრო ღრმად მივუდგეთ კადრების პოლიტიკის საკითხთა გადაწყვეტას, უფრო დაკვირვებით ვეკიდებოდეთ კადრების შერჩევას, განაწილებას და აღზრდას, ნიადაგ ვიღვაწოთ, რომ წარმოების გადამწყვეტ უბნებს სათავეში ედგნენ კომპეტენტური ხელმძღვანელები, ნიჭიერი ორგანიზატორები და კარგი სამეურნეო მუშაკები.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევისას საქალაქო კომიტეტი, ჩვეულებრივ, ეთათბირება ხოლმე ფართო აქტივს, საზოგადოებრიობას, ითვალისწინებს შრომითი კოლექტივების პარტორგანიზაციათა აზრს, გულდასმით სწავლობს კანდიდატის საქმიან თვისებებს, ისწრაფვის გამოავლინოს, რამდენად შესწევს მას პერსპექტივის ხედვის უნარი. განხორციელებულ ღონისძიებებს მეტწილად სასურველი შედეგები მოაქვს. მაგალითად, ლითონკონსტრუქციათა და მეტალურგიულ ქარხნებში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა.

ჩვენ გვესმის, რომ მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს ნაკლოვანებები, შეცდომები და ხარვეზები. საჭიროა არსებითად ავამაღლოთ კვლევისა და გამოკითხვის პროფესიული დონე, მივაღწიოთ ჯეროვანი წესრიგის დამყარებას საწარმოო ორგანიზაციებში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საქმეში. ამასთან ნიადაგ ვიხელმძღვანელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებით: „საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განვითარებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქმის რეალური მდგომარეობის შესახებ ადამიანთა უკეთ ინფორმირებას, საჯაროობას პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაში".

ვუჩვენოთ შრომის ჰეროიკა

ამ დღეებში შემოქმედ მუშაკთა ჯგუფი გაემგზავრა რესპუბლიკის 61 ქალაქსა და რაიონში. მწერლები და მხატვრები, კინოსა და თეატრის მოღვაწეები, არქიტექტორები და კომპოზიტორები ესტუმრებიან საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებს, სამრეწველო საწარმოებს, იმათ, ვისი ხელითაც იქმნება მატერიალური დოვლათი, ხორციელდება პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამა. ისინი ისაუბრებენ თანამედროვე ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესების შესახებ, გაუზიარებენ თავიანთ შემოქმედებითს გეგმებს. ადამიანები, რომელთა შემოქმედება შთაგონებულია ხელოვნებისა და შრომის თანამეგობრობით, უფრო ღრმად გაეცნობიან იმ რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა ცხოვრებასა და მოთხოვნილებებს, რომლებსაც ეწვევიან, გაეცნობიან ქვეყანაში აღიარებული ექსპერიმენტების არსს, რომლებიც ეწყობა საქართველოში და მიზნად ისახავს ეკონომიკის შემდგომი განვითარების ეფექტიანი გზების გამონახვას.

გადაწყვეტილია, რომ ამიერიდან ყოველ წელს აპრილში შემოქმედებითი მუშაკები სისტემატურად ეწვევიან „თავიანთი რეგიონის" მშრომელებს, აგრეთვე ესტუმრებიან მათ ყოველთვის, როდესაც იქ გაიმართება მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიება.

ამ მოგზაურობის შედეგი იქნება ახალი ნაწარმოებები, რომლებიც სულიერად აამაღლებენ მშრომელ ადამიანებს, შთააგონებენ მათ ახალ სახელოვან საქმეებს.

თბილისელ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა პირველი ჯგუფის წევრები უკვე იმყოფებიან მარნეულში, გორში, წყალტუბოში, ჭიათურაში, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ზესტაფონის, ყაზბეგის, ყვარლის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მახარაძის, ცაგერის, ჩოხატაურის რაიონებში.

ეს შეხვედრები საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პარტიის იმ მოწოდების კონკრეტულ პასუხად იქცა, რომელიც გაისმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმის ტრიბუნებიდან — აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში, ხელი შეუწყონ საბჭოთა ადამიანების იდეურ და ზნეობრივ სრულყოფას, მოუწოდონ მათ ახალი გმირობისათვის საბჭოთა სამშობლოს ასაყვავებლად.

ხელოვან და მშრომელ ადამიანთა ასეთი თანამშრომლობა სცილდება ფართოდ გავრცელებული და ნაცადი ფორმის — შეფობის ფარგლებს. ამას უკვე ნათლად მეტყველებს პირველი შეხვედრები ადგილებზე, პირველი კონტაქტები, რომლებსაც დიდი და ნათელი გზა უწერიათ. (საქინფორმი).

მამაცი კომკავშირელის სახელობისა

ქალაქ რუსთავის ერთ-ერთ ახალ ქუჩას ამიერიდან დაერქმევა მამაცი ბორტგამყოლის ვალენტინა კრუტიკოვას სახელი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

რუსთაველი გოგონას ვ. კრუტიკოვას გმირობის ამბავი კარგად იციან ჩვენს რესპუბლიკაში. ავიალაინერის მგზავრების გადასარჩენად მან სიცოცხლე გასწირა. მისი გმირობა დიდხანს იცოცხლებს ხალხის გულში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვალენტინა ნიკოლოზის ასულ კრუტიკოვას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა წითელი დროშის ორდენი. მამაცი კომკავშირელის სახელი შეტანილია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

რუსთავის № 3 საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობდა ვ. კრუტიკოვა, გაიმართა სამშობლოს სახელოვანი შვილის ხსოვნის მიტინგი. აქ შეიკრიბნენ მრავალრიცხოვანი სტუმრები, პედაგოგები, მოსწავლეები. მოვიდნენ ვ. კრუტიკოვას მშობლები.

ბევრი გულთბილი სიტყვა თქვეს კომკავშირელის გმირობაზე № 3 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა ვ. ბოკუჩავამ, პ. სილიუკმა, რუსთავის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ოფციაურმა, კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. მაისაიამ და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა ვალენტინა კრუტიკოვას ქვაზე დარგეს ხეები და ყვავილები.

ბედნიერების სახლი

სოხუმში მწყობრში ჩადგა ქორწინების სასახლე. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამსახურის სრული კომპლექსის მქონე სასახლე პირველია ქვეყანაში. მასში არის ყველაფერი, რაც საჭიროა საზეიმო წეს-ჩვეულებებისათვის: ოთხი ლამაზად მოწყობილი საბანკეტო დარბაზი, ესტრადა ორკესტრისათვის, ბარი, სილამაზის სალონი, მოდების ატელიე, ახალდაქორწინებულთა მაღაზია.

— ეს ბედნიერების სახლია, — თქვა აფხაზეთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ვ. ქარჩელიამ, — და ამიტომ მის სტუმრებს უფლება აქვთ იმედი იქონიონ, რომ მათ მაღალ დონეზე გაუწევენ მომსახურებას. აქ ახლებურად აღორძინდება ხალხური საქორწილო რიტუალები, სასახლე გახდება ახალი წეს-ჩვეულებების პროპაგანდის ცენტრი. (საქინფორმი).

ჭადრაკი

თბილისის საერთაშორისო

თავისუფალი იყო მხოლოდ ერთი მონაწილე!..

მეოთხე ტურში მსოფლიო ჩემპიონმა ჩიბურდანიძემ, რომელიც შავებით ეთამაშებოდა ანგელოვას, ეგრეთ წოდებულ ვოლგის გამბიტს მიმართა. ამ დასაწყისში შავები უკვე მესამე სვლაზე სწირავენ პაიკს და ამის სანაცვლოდ საკმაო პოზიციურ კომპენსაციას იღებენ. როგორც ეს დამახასიათებელია ვოლგის გამბიტისათვის, მსოფლიო ჩემპიონმა მთელ თავის ძალებს ლაზიერის ფრთაზე მოუყარა თავი, შეეცადა თეთრების განლაგების დასუსტებას. ბულგარელმა, პირდაპირ უნდა ითქვას, დაცვის ჩინებული ხელოვნება გვიჩვენა. ფიგურების უმეტესობის გაცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ჩიბურდანიძეს ერთგვარი ინიციატივის მიუხედავად, არ ჰქონდა მოგების შესაძლებლობა. ამიტომ მოჭადრაკენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მორიგი გამარჯვება იზეიმა კრამლინგმა. ჩეხური დაცვის გაცვლით ვარიანტში მან თეთრებით მცირე უპირატესობა მიიღო მურეშანთან. რუმინელს მძიმე მდგომარეობის გასათანაბრებლად შეუპოვარი დაცვისათვის მიემართა, მაგრამ მან სხვა, ნაკლებად გამართლებული, გზა აირჩია — დათმო პაიკი და შეეცადა კონტრშეტევაზე გადასვლას. კრამლინგმა სულ მალე დაამტკიცა, რომ შავების გეგმა მცდარი იყო. იგი ლაზიერით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და მურეშანის ძალები დაქსაქსა. თითქოს ამაზე იყოს ნათქვამი — გათიშე და იბატონე! კრამლინგის პოზიცია იმდენად მძლავრი გახლდათ, რომ მას სულ სხვადასხვა გზით შეეძლო პარტიის მოგება: კომბინაციური დარტყმით ან პოზიციური მანევრირებით. ამიტომ მურეშანმა გააჩერა საათი. ეს რუმინელი დიდოსტატის პირველი დამარცხებაა.

ლიტინსკაია-გურიელის შეხვედრაში ქართველი დიდოსტატი შავებით ინიციატივის დაუფლებას შეეცადა და ხარისხი დათმო. ამასობაში მან ლაზიერი და მხედარი გადაისროლა თეთრი მეფის წინააღმდეგ. შემდეგში, შესაძლოა, გურიელის შეტევის გაგრძელებას უკეთესი შესაძლებლობაც ჰქონოდა, მაგრამ იმ სვლებით, რომლებიც გაკეთდა, თეთრების ძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ლვოველმა მოჭადრაკემ ენერგიული მანევრებით ჯერ თავისი პოზიციის კონსოლიდაცია მოახდინა, შემდეგ კი თვით გადავიდა შეტევაზე.

იოსელიანთან შავებით გაფრინდაშვილმა სიცილიური დაცვის ვარიანტს მიმართა, რომელიც დამუშავებულია ცნობილ არგენტინელ დიდოსტატ ნაიდორფის მიერ და მისი სახელით იხსენიება. რთულ მანევრულ თამაშში თეთრებმა სცადეს მეფის ფრთაზე პირდაპირი იერიში წამოეწყოთ, მაგრამ მხედველობიდან გამორჩათ გაფრინდაშვილის ძლიერი დაცვითი სვლები. მას შემდეგ, რაც იოსელიანმა დიდი მატერიალური ზარალი ნახა, შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ალექსანდრიამ მწვავე პოზიციაში, ცოტა არ იყოს, თამამად შესწირა ხარისხი პაიკში ლაზარევიჩს. შემდგომ თამაშში მას, შესაძლოა, ჰქონდა ამის კომპენსაცია, მაგრამ ყაიმს უნდა დასჯერებოდა. ალექსანდრიამ მეტი მოინდომა და, როგორც ეს ხშირად ხდება, დიდი პრობლემების წინაშე დადგა. მდგომარეობა გამარტივდა. ლაზარევიჩმა შეინარჩუნა ზედმეტი ხარისხი და გადადებულ პოზიციაში მოგების შესაძლებლობა აქვს. ფრიად მახვილგონივრულად ითამაშა ივანკამ ახმილოვსკაიასთან. როცა კომბინაციური ქარიშხალი დაცხრა, უნგრელ დიდოსტატს ორი მხედარი დარჩა თეთრების ეტლის წინააღმდეგ. პარტია გადაიდო ივანკას უპირატესობით. ვიზე-ხუგაშვილის პარტიაში დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ პოლონელს მატერიალური უპირატესობა დარჩა, მაგრამ პოზიციის ხასიათი ისეთია, რომ ჯერ კიდევ მწვავე თამაშია მოსალოდნელი. ორივე მეფე არასაკმარისადაა დაცული, ეს კი სხვადასხვა კომბინაციური დარტყმის განხორციელების საშუალებას იძლევა.

გუშინ დამთავრდა ოთხი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. თავისუფალი იყო მხოლოდ ერთი მონაწილე — პია კრამლინგი.

ალექსანდრია თამაშის განუახლებლად დანებდა ლაზარევიჩს, ხოლო ახმილოვსკაია ყაიმზე შეუთანხმდა ლიტინსკაიას და ლაზარევიჩს.

ჩიბურდანიძემ მოუგო იოსელიანს, გაფრინდაშვილმა — ივანკას, ანგელოვამ — ალექსანდრიას, მურეშანმა — ხუგაშვილს, ალექსანდრიამ — ლიტინსკაიას. ივანკამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ხუგაშვილსა და ახმილოვსკაიასთან.

ოთხი ტურის შემდეგ კრამლინგს 3,5 ქულა აქვს, ჩიბურდანიძეს — 3, ორნახევარი ქულა მოაგროვეს ახმილოვსკაიამ, ლიტინსკაიამ და ლაზარევიჩმა.

ბ. გამრეკელი.

ნახევარფინალში ორი თბილისელი ითამაშებს

თბილისში გრძელდება „გრან-პრის" სერიით გათვალისწინებული იუნიორ ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. გუშინ გოგონათა ერთეულების მეოთხედფინალური შეხვედრა თბილისელ ლეილა მესხს რუმინელ ტაკესთან მოუწია. მესხმა პირველი პარტია „მშრალი" ანგარიშით (0:6) წააგო, მაგრამ ამის მერე ოსტატურად წარმართა ორთაბრძოლა, გამარჯვებაც (7:5, 6:4) და ნახევარფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა. დღეს ამ ეტაპზე მისი მეტოქე იქნება ბიკოვა, რომელმაც მეოთხედფინალში ბულგარელი მარინოვა დაამარცხა (6:3, 6:3). ნახევარფინალში გავიდნენ აგრეთვე მოსკოველი მილდივსკაია (მოუგო ლენინგრადელ ივანოვას — 6:1, 6:2) და ერევნელი ხალათიანი (მოუგო ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ სედლაჩკოვას — 7:6, 6:2).

ჭაბუკთა ნახევარფინალშიც ერთი თბილისელი გავიდა: ვლადიმერ გაბრიჩიძე. მან მეოთხედფინალში შემართებით იბრძოლა მეტად ძლიერ უნგრელ კრაჩკოსთან და გაიმარჯვა ანგარიშით 6:3, 6:2. ნახევარფინალში გაბრიჩიძის მეტოქე იქნება ერევნელი მილიჯიანი. ამ უკანასკნელმა მოუგო სიმფეროპოლელ ჩერნეცკის (6:4, 6:3). პოლონელმა კოვალსკიმ დაამარცხა თბილისელი ირაკლი მეტრეველი (6:4, 6:2), ხოლო რუმინელმა ნიკოლაემ — ტალინელი ვისანდი (7:6, 6:2). ნახევარფინალში კოვალსკის მეტოქე იქნება ნიკოლაე.

შეჯიბრება გრძელდება.

ლ. ზერეკიძე,
სპორტის ოსტატი.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. ლვოვში მიმდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) ბოლო, მეჩვიდმეტე ტურის წინ 11,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს მოსკოველი ა. სოკოლოვი. ოდესელ კ. ლერნერს 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ეტყობა, ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გახდება ცნობილი.

ტყვიის სროლა. სოხუმში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე საქართველოს რამდენიმე სპორტსმენის გამოსვლა კარგი შედეგებით აღინიშნა. სოხუმელმა ვალენტინ ხალეცკიმ 10 მეტრზე პნევმატური დამბაჩით სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან 600 შესაძლებლიდან 588 ქულა დააგროვა. ბრინჯაოს მედალს დაეუფლა თბილისელი ვაჟა დავიშვილი. თბილისელმა გოჩა სარუხანოვმა კი 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლით სროლაში საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — 598 ქულა.

მშვილდოსნობა. დუშანბეში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრთა საკავშირო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. აქ თბილისელმა ოლეგ კრისკომ „მ-1" ვარჯიშში 1154 ქულა დააგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა. 1111 ქულით თბილისელი კახაბერ ძნელაძე მესამე ადგილზე გამოვიდა.

ფეხბურთი. გაიმართა ევროპის თასების გათამაშებათა განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: **ჩემპიონთა თასი.** იტალიის „რომა"-შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი" — 3:0, ბუქარესტის „დინამო"-ინგლისის „ლივერპული" — 1:2. ფინალში გავიდნენ „რომა" და „ლივერპული"; **თასების მფლობელთა თასი.** იტალიის „იუვენტუსი"-ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" — 2:1, შოტლანდიის „აბერდინი"-პორტუგალიის „პორტუ" — 0:1. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „იუვენტუსი" და „პორტუ"; **უეფას თასი.** ინგლისის „ტოტენჰემი"-იუგოსლავიის „ჰაიდუკი" — 1:0, ბელგიის „ანდერლეხტი"-ინგლისის „ნოტინგემ ფორესტი" — 3:0. აქ გამარჯვებულის ვინაობას გამოარკვევს „ანდერლეხტისა" და „ტოტენჰემის" ორი ფინალური მატჩი.

შემთხვევა

საბაბი კი სრულიად უბრალო იყო

არაფერი უჩვეულო იმაში არ ყოფილა, რომ სპორტის სასახლესთან შეიკრიბა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი. საუბარი, რომელიც მშვიდობიანად დაიწყო, მალე ლანძღვა-გინებაში გადაიზარდა, ხოლო დამთავრდა მკვლელობით...

დღის ხუთი საათისათვის საბურთალოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სამორიგეო ნაწილში გაისმა ზარი რესპუბლიკური საავადმყოფოდან. იტყობინებოდნენ, რომ საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა ზურგში დანით დაჭრილი ახალგაზრდა გიორგი ბ.

— ოპერატიული ჯგუფი მაშინვე გაეშურა შემთხვევის ადგილისაკენ, — თქვა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილემ მილიციის მაიორმა გრიგოლ ხევსურიშვილმა, — დამსწრეთა გამოკითხვამ, შემთხვევის ადგილის დათვალიერებამ ნათელი მოჰფინა დანაშაულის სურათს, დავადგინეთ მკვლელი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, 23 წლის ბესარიონ ზენაიშვილი. იმ მომენტში იგი იმალებოდა. მეორე დღეს დამნაშავე დააკავეს.

ამგვარად ამხანაგების დავა სრულიად უბრალო რამის — მაგნიტოფონის გამო, რომელიც დროზე არ დაუბრუნეს პატრონს, მკვლელობით დამთავრდა. კონფლიქტი მწიფდებოდა ერთი თვის წინათ სტუდქალაქში, ჭავჭავაძის პროსპექტზე რომ მდებარეობს. მაგრამ არავინ, არც საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელობა, არც კომკავშირული ორგანიზაცია, არც მეგობარ-ამხანაგები არ ჩაერივნენ, არაფერი იღონეს იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ უბედურება.

ამ სისხლის სამართლის საქმეს იძიებს საბურთალოს რაიონის პროკურატურა. სახალხო სასამართლო განსაზღვრავს ამ ტრაგედიის თითოეული მონაწილის დანაშაულის ხარისხს. (საქინფორმი).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 30 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30—„მოამბე". 10.05 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოსნური ტბა". 10.25 — დილის გასართობი პროგრამა. 10.55 — „საკვირაო გამოცანა „ბავშვები და მაისი". 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „კვირის ეკრანი" (სატელევიზიო გადაცემების ანონსი). 12.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების საუნჯე". 12.30 — „ხალხური შემოქმედება" — სიმღერის შესწავლა („იმერული დელი-დელი"). 13.15 — საკვირაო გამოცანა „ბავშვები და მაისი". 13.20 — კამერული მუსიკის კონცერტი. 14.00 — „კინოაფიშა". 14.25 — „საერთაშორისო დღიური". 14.55 — საკვირაო გამოცანა „ბავშვები და მაისი". 15.00 — „ვესტნიკი". 15.30 — საესტრადო კონცერტი. 16.00 — საკვირაო გამოცანა „ბავშვები და მაისი". 16.05 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე" — სატელევიზიო ჟურნალი. 16.50 — „ხალხური შემოქმედება" — „უნიკალური ჩანაწერები". პირველი ნაწილი (განმეორებით). 17.45 — საკვირაო გამოცანა — „ბავშვები და მაისი". 17.50 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი. 18.25 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — „მოამბე". 20.30 — საკვირაო გამოცანა — „ბავშვები და მაისი". 20.35 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — გადაცემა „გმირებს არ ივიწყებენ". 21.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლელოს შემობრუნება" — პრემიერა (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „მსოფლიო და ახალგაზრდობა" (მ.). 23.10 — „თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი". 23.20 — კონცერტი. 00.15 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 00.45 — ახალი ამბები.

სამშაბათი, 1 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში". 9.55 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის, 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემა თბილისიდან და მოსკოვიდან. დასასრულ — პიონერული კონცერტი (მ). 13.00 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი — „ცეცხლში ნაწრთობნი". 13.25 — მოსწავლეთათვის — სამაისო კონცერტი. 14.00 — „პოეზიის ხუთი წუთი". 14.05 — ახალგაზრდობისათვის — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — „ვინც მოიხადა სამშობლოს ვალი". 14.35 — „სიმღერები პარტიასა და სამშობლოზე". 14.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 15.00 — „მულტპანორამა". 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 16.30 — საბჭოური ცხოვრების წესი. გადაცემა „ვარ საპატიო მე მოქალაქე". 17.00 — „პოეზიის ხუთი წუთი". 17.05 — „ხალხური შემოქმედება". კონცერტი „სამაისო". 17.45 — გადაცემა „მშვიდობის მაისი". 18.30 — „პოეზიის ხუთი წუთი". 18.35 — მხატვრული ფილმი „სანტიაგოში წვიმს" (საფრანგეთისა და ბულგარეთის ერთობლივი ნაწარმოები) (მ.). 20.00 — „მოამბე". 21.00 — „პოეზიის ხუთი წუთი". 21.05 — „საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი". 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 23.00 — „თეატრალური საღამო".

ოთხშაბათი, 2 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო ფილმ-კონცერტი „მაროვე". 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმები: „შაური", „ლეკვის შესახებ". 10.30 — „პოეზიის ხუთი წუთი". 10.35 — „საცირკო სანახაობა". 11.15 — „ხალხური შემოქმედება". კონცერტი. 12.00 — „პოეზიის ხუთი წუთი". 12.05 — ბავშვებისათვის მულტიპლიკაციური ფილმი „მაუგლი". 13.30 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.35 — გადაცემა „კავკასიის დაცვისათვის" (მედლის „კავკასიის დაცვისათვის" დაწესების 40 წლისთავის გამო). 13.55 — „სამშობლო, სიმღერა, ლექსი". 14.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „გზა მარადისობისაკენ". 14.50 — კონცერტი თბილისის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სახლის თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით. 15.10 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილისპირული". 15.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბზიფის ხეობა" (მ.). 15.40 — „პოეზიის ხუთი წუთი". 15.45 — გადაცემა „ოსტატი და თოჯინა" (თოჯინების ოსტატი ემზარ ნიშნიანიძე). 15.55 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს მუსიკალური კოლექტივების კონცერტი. 16.35 — „პოეზიის ხუთი წუთი". 16.40 — „სპორტული კალეიდოსკოპი". 18.05 — „ხალხური შემოქმედება" — „უნიკალური ჩანაწერები" — გადაცემა მეორე. 19.05 — „პოეზიის ხუთი წუთი". 19.10 — „ბალეტის მოყვარულთათვის". 19.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 20.00—„მოამბე". 20.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ომალო". 20.50 — საინფორმაციო გამოშვება „რესპუბლიკა ზეიმობს". 21.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ ტელეეკრანებზე". 22.40 — „თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე". 22.50 — „პირველად ჩვენს ეკრანზე" — მხატვრული ფილმი „თეირანი-43", პირველი სერია (ქართულ ენაზე).

ხუთშაბათი, 3 მაისი

პირველი პროგრამა. 16.20 — ახალი ამბები. 16.30 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (სტუდიაში მ. დოხტურიშვილი). 17.00 — პროგრამა მოსწავლეთათვის. მულტიპლიკაციური ფილმები: „შეხვედრა წყაროსთან", „ბოლო მერხზე", „საფრთხობელა". 17.35 — „ათი ათასად ზრდილობა"... 18.30 — განცხადებები. 18.35 — „ყრილობაზე ითქვა, რა გაკეთდა". გადაცემა „ალვადგინოთ თუთის ნარგავები". 19.00 — ფეხბურთი. სსრ კავშირის პირველობაზე: ერევნის „არარატი" — თბილისის „დინამო". შესვენებისას — კინონარკვევი. 20.45 — „მოამბე". 21.15 — ახალგაზრდობისათვის — „პორტრეტები სამეცნიერო სფეროდან" (განმეორებით). 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.40 — „თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი". 22.50 — „პირველად ჩვენს ეკრანზე" — მხატვრული ფილმი „თეირანი-43", მეორე სერია (ქართულ ენაზე). 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „უზბეკეთის გზები". 16.45 — განცხადებები. 16.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სულიკო". 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

პარასკევი, 4 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30—„მოამბე". 10.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ამბარჩიკი". 10.20—მხატვრული ფილმი „თეირანი-43". პირველი და მეორე სერია (ქართულ ენაზე). 13.00 — „საერთაშორისო დღიური" (განმეორებით). 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი (სტუდიაში ვ. კობახიძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — ბიოლოგიის ტელეკურსი (სტუდიაში დ. ჯობავა). 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაში რ. ენუქაშვილი). 16.40 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდი ომის ხსოვნა" — ფილმი პირველი „ალყაში, ქვეყანავ!" 17.40 — განცხადებები. 17.45— მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური სალებავი". 18.25 — ქართული პრესის ამაგდარი—ელ. თოფურია (დაბადების 70 წლისთავის გამო). 19.20 — „ცეროდენას ეკრანი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „მეცნიერების სამყაროში". 21.00 — „თვალთაი" — სატელევიზიო ჟურნალი. 21.45— „საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე". 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი". 22.45 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — მერაბ ხინიკაძე. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაბადება". 16.45 — განცხადებები. 16.50— „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის". სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უცნობი ქალი". 18.25 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

შაბათი, 5 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.00 — კინოჟურნალი „მინდა ველაფერი ვიცოდე". 10.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იცოდეთ, უყურეთ, უსმინეთ". 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა (სტუდიაში ე. ბაბუნაშვილი). 11.00 — დილის გასართობი პროგრამა. 11.40 — „პოეზიის ხუთი წუთი". 11.45 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „ბალთანოზავრი". 11.55 — „დღეს ბეჭდვითი სიტყვის დღეა" (მ.). 12.25 — შევისწავლოთ რუსული ენა (სტუდიაში მ. ჩხიკვაძე). 12.55 — „ხალხური შემოქმედება". 13.40 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.45 „მღერის ნიკოლოზ ნადიბაიძე". 14.35 — „კინოაფიშა". 15.00 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის". „გმირის ხსოვნა" (საბჭოთა კავშირის გმირი ა. დანელია). 15.20 — კონცერტი „ვისმენ მაისის სიმთა ხმას". 16.00 — ახალი ამბები. 16.10— „პოეზიის ხუთი წუთი". 16.15 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი. 17.00 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობა" (მიმოხილვა). 17.30 — „პოეზიის ხუთი წუთი". 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „ხალხური შემოქმედება" (თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით). 18.10 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო" № 4. 18.20 — პრესის დღისადმი მიძღვნილი გადაცემა. 19.00 „სტუდია დიალოგი" — „კურორტებს მზრუნველი ხელი". 19.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 20.00— „მოამბე". 20.30 — „ცეროდენას ეკრანი". 20.50 — „პოეზიის ხუთი წუთი". 20.55 — პრესის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი". 22.45 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

კვირა, 6 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.00 — „კვირის ეკრანი" (სატელევიზიო გადაცემების ანონსი). 10.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.30 — „მალვიძარა". 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „საკვირაო გამოცანა". 11.50 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი — „ხარისხის ნიშანი". 12.00 — „ჯანმრთელობა". 12.45 — „დილის ფოსტა". 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაში თ. კვაჭანტირაძე). 13.45 — „სასურსათო პროგრამის კურსით"—„ჩვენი სოფელი". 14.30 — „საკვირაო გამოცანა". 14.35 — მოსწავლეთათვის — „გზა მეცნიერებისაკენ" (შეხვედრა რესპუბლიკის სახალხო არტისტ ზ. კვერენჩხილაძესთან. განმეორებით). 15.20 — „ვესტნიკი". 15.50 — საკვირაო გამოცანა". 15.55 — „ხალხური შემოქმედება" — სიმღერის შესწავლა („იმერული დელი-დელი"). (განმეორებით). 16.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რევაზ ლაღიძე". 17.00 — „საკვირაო გამოცანა". 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. 17.55 — „ახალგაზრდობა". 18.55 — „საკვირაო გამოცანა". 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — „მოამბე". 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „შეხვედრა მთაში". 21.55 — „საკვირაო გამოცანა". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა" (მ). 23.05 — „მსოფლიო და ახალგაზრდობა" (მ.). 23.40 — „თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე". 23.50 — ხვალ ტელეეკრანზე.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 30 აპრილი

პირველი პროგრამა: 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.23 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ). 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". 11.15 — „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა სოლიდარობის გზით", საუბარი. 11.35 — „მუსიკალური რადიოაფიშა". 12.00 — „მეგობრიანეთ". ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. 13.40 — ახალგაზრდობისათვის. ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი. 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (ბაქოდან). 15.30 — „აღვზარდოთ მამულსა შვილი". საუბარი „მოზარდი და შრომა". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „თეთრად ფრიალებს აფრა ეული". 19.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!". 19.30 —„აგროსამრეწველო კომპლექსი: სადღეისო საზრუნავი". 20.30 — „ჩანგი". რადიოჟურნალი. 21.45 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. I ლიგა. 23.30 — ზ. ფალიაშვილი. საოპერო მუსიკა. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

სამშაბათი, 1 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.23 — მოწოდებები, მარშები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ). 8.15 — „საზეიმო". კონცერტი. 9.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.30 — „საზეიმო". კონცერტი. 9.55 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისისადმი მიძღვნილი თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია. რეპორტაჟი. 10.50 — მოსკოვი. წითელი მოედანი. მშრომელთა საერთაშორისო დღის — 1 მაისისადმი მიძღვნილი ზეიმი. 13.00 — „სამაისო". კონცერტი. 13.30 — „ძმურ ოჯახში". რადიონარკვევი. 14.00 — „30 აგვისტო". კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „გვესალმება მაისი". 17.40 — „გულს ემღერება". მუსიკალური რადიოკომპოზიცია. 18.45 — ქართული ესტრადის მელოდიები. 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 20.45 — „მეგობრობა გზად და ხიდად". კონცერტი. 21.15 — რადიოსადღეური „სიმ ა ბ უ კ ე". 22.00 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა საზეიმო კონცერტი. 23.30 — „გაზაფხულია, მაისი". მუსიკალური რადიოკომპოზიცია. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ოთხშაბათი, 2 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.23 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00—გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ). 8.20 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქართული ხალხური ჰანგები. 11.15 — „აგროსამრეწველო კომპლექსის პარტიული ორგანიზაცია". საუბარი „პირველი ნაბიჯები". 11.30 — „ერთიან ძმურ ოჯახში", კონცერტი. 11.45 — გ. ტაბიძის ლექსები. 12.10 — „მუსიკა ჩემს ცხოვრებაში". კონცერტი-ინტერვიუ. 14.00 — ვ. დარასელი, „კიკვიძე". რადიოსპექტაკლი. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „შელის ნუკრის ნაამბობი". 19.00 — „კინოფილმი ეკრანიდ". 19.30 — სიმღერები საქართველოზე. 20.30 — „თბილისი — ბაქო — ერევანი". რადიოჟურნალი (თბილისიდან). 21.00 — „კომუნისტები". მუსიკალური რადიონარკვევი „გრიგოლ კოკელაძე". 21.30 — „ჩვენი მუსიკალური სუვენირები რესპუბლიკის მშრომელებს". 23.30 — საღამოს მელოდიები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ხუთშაბათი, 3 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების „ფურცლებზე. 11.15 — „ჩვენი ლაშქარი". რადიონარკვევი „როცა კარგ ტრადიციაზე იზრდები". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.20 — „ახალგაზრდული სტუდია", „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის". „მარად მშვიდობას გისურვებ, დედა". 12.50 — „სცენის ოსტატები". სპექტაკლ „გვადი ბიგვას" სცენა მ. ჩაბავას და ე. მანჯგალაძის მონაწილეობით. 13.40 — „მხატვრული კითხვის ოსტატები" — ს. ზაქარიაძე. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „სიმღერაც იბრძოდა". კონცერტი. 18.00 — სამხრეთ ოსეთის ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი". 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.30 — „აგროსამრეწველო კომპლექსი: სადღეისო საზრუნავი". 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „არარატი" — თბილისის „დინამო". II ტაიმი. 21.00 — ძილისპირული. 21.15 — კონცერტი პ. ჩაიკოვსკის ნაწარმოებები. 23.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

პარასკევი, 4 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ). 9.23 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.15 — „როგორ ვნერგავთ ახალ ტექნიკას?" საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.10 — ქართული ხალხური სიმღერები. 12.30 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან". 14.00 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე. 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ეკრანის მელოდიები. 17.40 — მოსწავლეთათვის. „დღეს მაისი ფერში ნაირნაირშია". 18.00 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 19.00 — „მწერალი და ცხოვრება". ა. აბშილავა. „დიდი ექსპერიმენტი პატარა ქალაქში". III გადაცემა. 19.20 — უკრავს საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული ორკესტრი. 19.30 — „აგროსამრეწველო კომპლექსი: სადღეისო საზრუნავი". 20.30 — „სწავლება, პრობლემები, პერსპექტივები". საუბარი „მოზარდი და კოლექტივი". 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.00 — ძილისპირული. 22.00 — დ. კლდიაშვილი. იმერეთული მოთხრობები. 23.30 — ი. ჰაიდნი. სიმფონია № 83. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

შაბათი, 5 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00— გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — რ. ლაღიძე. სიმღერები და რომანსები. 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია. 12.00 — „დიადი გამარჯვების წლისთავისათვის". ლიტერატურული კომპოზიცია „ნახვამდის". 12.30 — მუსიკალური მოზაიკა. 13.40 — ა. ბალანჩივაძე. საბალეტო მუსიკა. 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „დიდი სიცოცხლის ერთი დღე". 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „კინოფილმი ეკრანიდ". 20.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები" — ნ. ქუმსიაშვილი. 21.00 — ძილისპირული. 21.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.30 — „ახალგაზრდული სტუდია". რადიონარკვევი „რედაქციაში არ დაბრუნებულა". 22.00 — „საღამო მშვიდობისა". მუსიკალური პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 23.00 — ძველებური რუსული რომანსები და ვალსები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

კვირა, 6 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.23 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ). 8.20 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". საკვირაო გამოშვება. 11.35 — „მუსიკალური რადიოაფიშა". 12.00 — „თანამედროვე ქართული მოთხრობა". რ. ინანიშვილი. „ჩვენი კატაფშატა". 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (თბილისიდან). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის". რადიოდადგმა „უცნობი ჯარისკაცის საფლავი". 19.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" 19.30 — „აგროსამრეწველო კომპლექსი: სადღეისო საზრუნავი". 19.40—„თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" კონცერტის გაგრძელება. 21.00 — კ. ლორთქიფანიძე, „ჩემი პირველი კომკავშირელი". რადიოდადგმა. 22.00 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა". 23.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

მოსკოვი

27 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „გამოგვეხმაურეთ, მებუკენო!". 10.05 — კონცერტი. 10.25 — მხატვრული ფილმი „პირველის მორჯულება". 11.50 — მოცარტი. № 41 სიმფონია. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.45 — მხიარული სტარტები. 17.30 — ახალი ამბები. 17.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.05 — საქართველოს მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 18.45 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ადამიანი და კანონი. 20.30 — ბოშური სიმღერები. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „ჩვენ აქ უნდა ვიცხოვროთ". პირველი სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ვიმღეროთ, მეგობრებო! 00.30 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა: 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 12.00 — საჭადრაკო სკოლა. 12.30 და 21.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 14.15 — საბჭოური გრაფიკული ხელოვნება. ბ. ი. პროროკოვი. 14.45 — ციფრა ძალაა. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — გ. ვენიავსკი — პოლონეზი რე მაჟორი. 19.30 — ჩვენი ბაღი. 20.00 — ა. კავერზნევი — „ავღანური დღიური", დოკუმენტური ტელეფილმი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.20 — კონცერტი. უკრავს საესტრადო ორკესტრი ო. ლუნდსტრემის ხელმძღვანელობით. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „თოჯინა", მეოთხე სერია. 00.15 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე".

ჩვენს ტელეეკრანებზე

10.05 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის „სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უცნობი ქალი". 11.40 — „ფილმები ხელოვნებაზე" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „გობელენების სამყარო", „საუკუნე ქვასა და მუსიკაში" და „დაბადება". 12.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ხელაპები". 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი (სტუდიაში ვ. კობახიძე). 14.00 — ახალი ამბები. 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაში რ. ენუქაშვილი). 16.40 — „მუსიკალური ფოსტა". 17.25 — განცხადებები. 17.30 — მოსწავლეთათვის — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — „მამათა ნაკვალევზე". 18.05 — საქართველოს მხატვრული კოლექტივების კონცერტი (მ.). 18.45 — იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობისათვის „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი". 19.20 — „საუნჯე" (საუბრები არქეოლოგიაზე). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — „ცეროდენას ეკრანი". 20.55 — „კინოს სამყაროში". 21.55 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.40 — „თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი". 22.50 — „პირველად ჩვენს ეკრანზე" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ნუ გეშინია, შენთან ვარ". II სერია („აზერბაიჯანფილმი"). 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა: 16.20 — მასწავლებლის საათი — მათემატიკა. 17.05 — ქართული მხატვრული ფილმი „სიყვარული ყველას უნდა". 18.25 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა.

თეატრი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური— [illegible]; თბილისის სახელმწიფო დრამატული — **ძველმოდური კომედია** (მე-16 აბონ. მე-3 წარმ.); მეტეხის — **ალმოდებულ წყვდიადში** (პრემიერა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **რძლები**; მინიატურების სახელმწიფო — **ნურც გაფრინდებით, ნურც მოფრინდებით**; მოზარდ მაყურებელთა ქართული — **თავფარავნელის ბალადა** (№ 37, 38 აბონ.); ფილარმონია — ვია „ფაზისი", ვია „რივიერა" (დიდ საკონცერტო დარბაზში); უკრავს მ. დოიჯაშვილი — ფორტეპიანო (ფოლკლორის ტაძარში).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07206 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, [illegible] 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20